USAID FROM THE AMERICAN PEOPLE | GEORGIA
EAST • WEST MANAGEMENT INSTITUTE
სამოქალაქო საზოგადოების განვითარებისა და მოქალაქეების ჩართულობის პროექტი
ADVANCING CSO CAPACITIES AND ENGAGING SOCIETY FOR SUSTAINABILITY (ACCESS)
EPRC
Economic Policy Research Center
ეკონომიკური პოლიტიკის კვლევის ცენტრი

ევროკავშირთან

ასოცირების შეთანხმების და DCFTA - ის მოთხოვნები სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის მწარმოებლებისთვის

პროექტი ხორციელდება ეკონომიკური პოლიტიკის კვლევის ცენტრის (EPRC) მიერ აღმოსავლეთ-დასავლეთის მართვის ინსტიტუტის (EWMI) ACCESS-ის პროექტის ფარგლებში.

პუბლიკაციის დამზადება შესაძლებელი გახდა ამერიკელი ხალხის მხარდაჭერის შედეგად ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) დაფინანსებით.

პუბლიკაციის შინაარსზე პასუხისმგებელია ეკონომიკური პოლიტიკის კვლევის ცენტრი (EPRC) . ის შესაძლოა არ გამოხატავდეს USAID-ის, ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობის ან/და EWMI-ს შეხედულებებს.

საქართველოს სოფლის მეურნეობა

საქართველოს ფართობი 69 700 კვ.კმ-ს (ოკუპირებული ტერიტორიების ჩათვლით), ხოლო მოსახლეობა, ოკუპირებული ტერიტორიების გამოკლებით, 3,7 მილიონს (2016 წლის 1 იანვრის მონაცემები) შეადგენს.

საქართველოს გააჩნია სასოფლო-სამეურნეო წარმოების და შესაბამისად, ექსპორტის დივერსიფიკაციის მნიშვნელოვანი პოტენციალი. მაგრამ, სოფლის მეურნეობის განვითარების ბოლო 20 წლის ისტორია აჩვენებს სასოფლო-სამეურნეო წარმოების და შემოსავლების შემცირების ტენდეციას. საბჭოთა პერიოდის დასრულების შემდეგ საქართველოს სოფლის მეურნეობამ დიდი კოლაფსი განიცადა. 1991-2001 წლებში დარგი წელიწადში საშუალოდ 6,7%-ით მცირდებოდა (რეგიონში ყველაზე სწრაფი კლება), რამაც წარმოების მთლიანი დონე საბჭოთა კავშირის დროინდელის 32%-მდე დაიყვანა. 2001 წლის შემდეგ საქართველოს სოფლის მეურნეობა სულ 10%-ით (წელიწადში საშუალოდ 0,7%) გაიზარდა (2001-2015), რაც გაცილებით ნაკლებია მთლიანად ეკონომიკის ზრდასთან შედარებით.

საქართველოში იშვიათი მიკრო-კლიმატური ზონების დიდი მრავალფეროვნება, მაღალი ფასეულობის მქონე კულტურებისთვის ძალიან ხელსაყრელ პირობებს ქმნის. ძირითადი სასოფლო-სამეურნეო პროდუქტებია: სიმინდი, კარტოფილი, ხორბალი, ქერი, ბოსტნეული და ხილი (ყურძენი, ციტრუსი, ვაშლი, თხილი) და შინაური ცხოველები (საქონელი, ცხვარი და თხა, ღორი, ფრინველი).

ცხრილი 1. ნათესების ფართობები და მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის რაოდენობა, 1990-2015(*წინასწარი)

წელი	ნათესების ფართობი (ათასი ჰექტარი)	მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვი (ათასი)	სოფლის მეურნეობის[1] წილი მშპ-ში %
1990	701.9	1,298.3	31.6%
1995	453.1	973.6	44.4%
2000	610.8	1,177.4	21.9%
2005	539.6	1,190.3	16.7%
2010	256.7	1,049.4	8.4%
2011	262.4	1,087.6	8.8%
2012	259.6	1,128.8	8.6%
2013	310.7	1,229.7	9.4%
2014	316.6	1,278	9.3%
2015*	293	1,318	9.2%

წყარო: საქსტატი

1. სოფლის მეურნეობა, ნადირობა, მეტყევეობა და მეთევზეობა

ბოლო წლებში სოფლის მეურნეობის სექტორის რეალური ზრდის შემდეგი მაჩვენებლები დაფიქსირდა - 11.3% 2013 წელს, 1.6% 2014 წელს და 2.9% 2015 წელს.

ნახ. 1. სოფლის მეურნეობის (ნადირობის, მეტყევეობის და მეთევზეობის ჩათვლით) რეალური ზრდის მაჩვენებლები საქართველოში (*წინასწარი)



წყარო:საქსტატი

სოფლის მეურნეობა დიდი რაოდენობის უმუშევარი ადამიანისთვის თავის რჩენის საშუალებას წარმოადგენს, რადგან სხვაგვარად ისინი შიმშილობისთვის იქნებოდნენ განწირული, რადგან მათ შემოსავლის სხვა წყარო არ გააჩნიათ.

შესაბამისად, სოფლის მეურნეობა ძალზედ მნიშვნელოვან სოციალურ ფუნქციას ასრულებს. სოფლის მეურნეობაში დასაქმებულთა დიდი ნაწილი ინდივიდუალურ, მხოლოდ საკუთარი ოჯახის გამოსაკვებად მომუშავე გლეხებს წარმოადგენენ და მათ პროდუქტიულობის უფრო მაღალ დონეზე გადასვლის არც უნარები და არც რესურსები გააჩნიათ. საქართველოში დაახლოებით 642.2 ათასი სასოფლო-სამეურნეო მეურნობა არსებობს[2] მათგან მხოლოდ 2.2 ათასი არის იურიდიული პირი. დომინირებენ მცირე ზომის საოჯახო ფერმები და მათი რაოდენობა 640 ათასს შეადგენს. 2014 წლის მოსახლეობის აღწერის შედეგების მიხედვით, ქვეყანაში მთლიანად შინამეურნეობების რაოდენობამ 1109.0 ათასი შეადგინა. შინამეურნეობების დაახლობით 58% წარმოადგენს სასოფლო მეურნეობას. რაც შეეხება შინამეურნეობების და მათ შორის სასოფლო მეურნეობების რაოდენობას რეგიონების მიხედვით, ეს მონაცემები მოცემულია ცხრილ 2-ში.

სასოფლო მეურნეობების უმრავლესობა საქართველოში, მცირე ზომის მიწებს ფლობენ[3], აწარმოებენ მცირე რაოდენობის პროდუქციას, ვერ იყენებენ საკმარისი რაოდენობის თანამედროვე ტექნოლოგიებს და ბაზარზე წვდომის პრობლემა გააჩნიათ.

ზოგადად რომ ვთქვათ, საქართველოს სოფლის მეურნეობა კვალიფიციური კადრების, კაპიტალის, ვეტერინარული და მცენარეთა დაცვის მომსახურების, საწყობების, მიწის განვითარებული ბაზრის დეფიციტს განიცდის. სახელმწიფო დაფინანსება და კერძო ინვესტიციები ინფრასტრუქტურის განსავითარებლად საკმარისი არ არის. ქვეყანას ძალიან დაბალი სასოფლო-სამეურნეო წარმადობა გააჩნია (სამჯერ და მეტჯერ ნაკლები, ვიდრე ევროკავშირის განვითარებულ ქვეყნებს).

საქართველოში სასოფლო-სამეურნეო წარმოების ზრდის მნიშვნელოვანი პოტენციალი არსებობს. თუმცა, ამჟამად, ქვეყანას თავისი სურსათის დიდი ნაწილი უცხოეთიდან შემოაქვს. ადგილობრივი მოსახლეობის მიერ მოხმარებული სურსათის და სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის უმეტესობა იმპორტირებულია (იხილეთ ცხრილი 3).

2. წყარო: 2014 წლის საქართველოს სასოფლო მეურნეობები აღწერა. სასოფლო-სამეურნეო მეურნეობა: სოფლის მეურნეობაში ჩართული ნებისმიერი ეკონომიკური ერთეული, წარმოების მასშტაბის, ერთეულის სამართლებრივი სტატუსის და სასოფლო-სამეურნეო აქტივების მესაკუთრეობის ფორმის მიუხედავად.

3. განისაზღვრება მიწის ნაკვეთის ან მეურნეობის ადგილმდებარეობის მიხედვით და არა შინამეურნეობის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით

ცხრილი 2. შინამეურნეობების და სასოფლო მეურნეობების რაოდენობა რეგიონების მიხედვით (ათასი), 2014 წლის აღწერის შედეგების მიხედვით

	შინამეურნეობები სულ	მათ შორის სასოფლო მეურნეობები[4]	სასოფლო მეურნეობები/ შინამეურნეობები%
თბილისი	339,3	30.3	8.9%
აჭარა	83,8	44.8	53.4%
გურია	34,9	34.9	100%
იმერეთი	169,0	125.9	74.4%
კახეთი	99,0	97.1	98%
მცხეთა-მთიანეთი	29,8	31.8	106%
რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი	12,9	14.5	112.4%
სამეგრელო ზემო-სვანეთი	101,5	85.3	84%
სამცხე-ჯავახეთი	44,0	36.0	81.8%
ქვემო ქართლი	114,6	73.4	64%
შიდა ქართლი	80,3	68.3	85%
საქართველო სულ	1 109,1	640.0	57.7%

წყარო: საქსტატი

სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის საექსპორტო ბაზრების დივერსიფიკაცია საქართველოს ეკონომიკური რეფორმების პრიორიტეტულ მიმართულებას წარმოადგენს. ბოლო წლებში შეინიშნება თხილის, ღვინის, ციტრუსების, ხილის და ბოსტნეულის ზრდის ტენდენცია. მაგალითად, 2005 წელს ევროკავშირის დღევანდელ წევრ ქვეყნებში 7 ათასი ტონა თხილის ექსპორტი განხორციელდა, ხოლო 2015 წლისთვის კი ექსპორტის მოცულობა ორჯერ და უფრო მეტად გაიზარდა და 15.9 ტონა შეადგინა. 2015 წელს თხილის ექსპორტის 83% ევროკავშირის წევრ ქვეყნებში განხორციელდა.

2005 წელს ევროკავშირში 732 ათასი ლიტრი ღვინო გავიდა, ხოლო 2015 წლისთვის ღვინის ექსპორტმა ევროკავშირის წევრ ქვეყნებში 4.5-ჯერ მეტი, 3.3 მილიონი ლიტრი შეადგინა.

ცხრილი 3. სურსათის იმპორტი საქართველოში, 2000-2015

	2000	2005	2010	2013	2014	2015
იმპორტი სულ (მილიონი აშშ დოლარი)	709	2,487	5,257	8,011	8,593	7,729
სურსათის იმპორტი (მილიონი აშშ დოლარი)	130	387	785	1,037	1,011	862
სურსათის წილი იმპორტში (%)	18.4%	15.5%	14.9%	12.9%	11.8%	11.1%

4. განისაზღვრება მიწის ნაკვეთის ან მეურნეობის ადგილმდებარეობის მიხედვით და არა შინამეურნეობის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით

რაც შეეხება სურსათის მთლიან ექსპორტს, ის მოცემულია ცხრილ 4-ში.

ცხრილი 4. სურსათის ექსპორტი საქართველოდან, 2000-2015

	2000	2005	2010	2013	2014	2015
ექსპორტი სულ (მილიონი აშშ დოლარი)	323	865	1,677	2,909	2,860	2,204
სურსათის ექსპორტი (მილიონი აშშ დოლარი)	39	137	153	327	299	280
სურსათის წილი ექსპორტში (%)	12.2%	15.8%	9.1%	11.2%	10.4%	12.7%

საქართველოს მთავრობამ 2015-2020 წლებისთვის საქართველოში სოფლის მეურნეობის განვითარების სტრატეგია შეიმუშავა. სტრატეგია განსაზღვრავს მნიშვნელოვან სტრატეგიულ მიმართულებებს სოფლის მეწარმეთა კონკურენტუნარიანობის, მელიორაციის და ნიადაგების ნაყოფიერების, რეგიონული და დარგობრივი განვითარების, სურსათის უვნებლობის, სასურსათო უსაფრთხოების, ვეტერინარული და მცენარეთა დაცვის გაუმჯობესების კუთხით.

ასოცირების შეთანხმება/DCFTA და DCFTA-ის გავლენა

2014 წლის 27 ივნისს, საქართველომ ხელი მოაწერა ევროკავშირთან ასოცირების შეთანხმებას, რომელიც მოიცავს ღრმა და ყოვლისმომცველ თავისუფალ სავაჭრო სივრცეს (DCFTA). DCFTA 2014 წლის 1 სექტემბრიდან ამოქმედდა, რამაც საქართველოში წარმოებულ საქონელს გაეუხსნა მსოფლიოს უმსხვილესი ბაზარი, რომელიც აერთიანებს 28 ქვეყანას და 500 მილიონზე მეტ მომხმარებელს. ევროკავშირის ბაზარი ნიშნავს სტაბილურ ბაზარს, ღია თამაშის წესებს, დისტრიბუციის გამართულ ქსელს, სურსათზე მზარდ ფასებს და ნატურალურ პროდუქტებზე მზარდ მოთხოვნას. საქართველოს ამ მიმართულებით საკმაოდ კარგი პოტენციალი აქვს.
DCFTA საქართველოსთვის გაამარტივებს და გააღრმავებს ევროკავშირის ქვეყნებთან სავაჭრო ურთიერთობებს. შეთანხმება ასევე ითვალისწინებს საბაჟო ტარიფებისა და კვოტების ეტაპობრივ გაუქმებას, ვაჭრობასთან დაკავშირებულ სხვადასხვა სექტორში კანონმდებლობის, ნორმებისა და რეგულაციების დაახლოებას.

DCFTA-ის გავლენა სოფლის მეურნეობაზე

DCFTA-ის ხელმოწერა ქართულ სოფლის მეურნეობის პროდუქტებს გზას უხსნის ევროკავშირის ბაზრისკენ, ძირითადად, აგრარულ პროდუქტებსა და გადამუშავებულ აგრარულ პროდუქტებზე ევროკავშირის საიმპორტო გადასახადის გაუქმების წყალობით. ჰოლანდიური კვლევითი ორგანიზაცია Ecorys-ის და პოლონური კვლევითი ორგანიზაცია CASE-ის მიერ გაკეთებული გავლენის შეფასების კვლევა აჩვენებს, რომ შეთანხმების შედეგად გაიზრდება საქართველოში ბოსტნეულის, ხილის, თხილის და კაკლის, მცენარეული ზეთების და ცხიმების, ასევე ცხოველური პროდუქტების წარმოება. თუმცა ამავე
დროს, მეცხოველეობის ზოგიერთი პროდუქტების ევროკავშირში ექსპორტირება (მაგალითად, ხორცი) სურსათის უვნებლობის მოწინავე სისტემის და თანამედროვე ფერმერული პრაქტიკის არსებობას უკავშირდება, რაც საქართველოში, მეცხოველეობის

უკიდურესად მცირე ზომის და დანაწევრების გათვალისწინებით, ნაკლებად არის მოსალოდნელი.
2005 წლიდან საქართველო სარგებლობდა ევროკავშირის შეღავათების (პრეფერენციების) ზოგადი სისტემით (GSP+). ამ სისტემის ფარგლებში საქართველოს აგრარული პროდუქციის ფართო სპექტრზე ტარიფები შემცირდა ან საერთოდ გაუქმდა. ეს სისტემა არ მოიცავდა ისეთ უმნიშვნელოვანეს საექსპორტო პროდუქციას, როგორიცაა ღვინო. აქედან გამომდინარე, DCFTA-ის პოზიტიური ზეგავლენა ექნება ღვინისა და ალკოჰოლური სასმელების ექსპორტზე. შედეგად, მოსალოდნელია, რომ ასოცირების შეთანხმება არა მარტო ღვინისა და ალკოჰოლური სასმელების ექსპორტიორებზე იმოქმედებს დადებითად, არამედ, ირიბად, მთელს საწარმოო ჯაჭვზე, მათ შორის ყურძნის პირველად მწარმოებლებზე.

გავლენა ვაჭრობაზე

შეთანხმების შესაბამისად, საბაჟო ტარიფი მოიხსნება საქართველოდან ექსპორტირებულ ყველა პროდუქციაზე. შეთანხმება ითვალისწინებს თავისუფალი ვაჭრობის სამი ტიპის გამონაკლისს:
1) თავისუფალი ვაჭრობა სატარიფო განაკვეთების კვოტების ფარგლებში. ამ კატეგორიაში შედის ერთადერთი პროდუქტი - ნიორი;
2) პროდუქტები, რომლებზეც ჯერაც ვრცელდება შეტანის ფასი, მაგრამ რომელთა იმპორტის გადასახადის ad valorem (ღირებულების შესაბამისი) ადვალორული კომპონენტი გაუქმებულია. ეს ნიშნავს, რომ აღნიშნული გადასახადის ოდენობა არ იქნება დამოკიდებული ექსპორტირებული საქონლის მოცულობაზე, არამედ დადგინდება შეტანის ფასი. ქართველი ექსპორტიორებისთვის საინტერესოა რამდენიმე აგროსასურსათო პროდუქტი, რომელიც ამ ჩამონათვალშია: პომიდორი, კიტრი, ტკბილი ფორთოხალი, ვაშლი, მსხალი, ყურძნის დურდო;
3) პროდუქტები, რომლებზეც ვრცელდება გაყალბების საწინააღმდეგო (anti-circumvention) მექანიზმი: საქონლის, ღორის და ცხვრის ხორცი, ფრინველის ხორცი, რძის პროდუქტები, კვერცხი, ბურღულეული, შაქარი, სოკო, ალაო, ქატო, ტკბილი სიმინდი და სხვა.

ნახ.2. საქართველოს ექსპორტი ევროკავშირში (2005-2015 წლები), მილიონი აშშ დოლარი



წყარო: საქსტატი

გავლენა მწარმოებლებზე და მომხმარებლებზე

დღეის მდგომარეობით, მთელი რიგი სასოფლო-სამეურნეო პროდუქცია და მათი წარმოების პროცესი შესაბამისობაში არ არის ევროკავშირის სურსათის უვნებლობის, ვეტერინარიის და მცენარეთა დაცვის მოთხოვნებთან. DCFTA-ის მოთხოვნების შესაბამისად, საქართველოში უნდა მოხდეს ყველა შესაბამისი დირექტივის დანერგვა და სურსათის უვნებლობის, მცენარეთა დაცვის და ვეტერინარიის სისტემის რეფორმირება. ეს ყველაფერი ხელს შეუწყობს არა მარტო ევროკავშირში ექსპორტის ზრდას, არამედ დაიცავს ადგილობრივ მომხმარებლებსაც. მომხმარებლებს უნდა ჰქონდეს საშუალება აირჩიოს და მიიღოს ის პროდუქცია, რაც მას და სჭირდება. კერძოდ:

- მომხმარებელს უნდა მიეწოდოს სწორი, საკმარისი და გასაგები ინფორმაცია პროდუქტის თვისებების და თავისებურებების შესახებ;
- მომხმარებელმა უნდა მიიღოს ზუსტად ის პროდუქცია, რაც მან აირჩია;
- თუ რამე ნაკლი აქვს პროდუქციას, ის უფასოდ უნდა გამოსწორდეს, პროდუქცია უნდა შეკეთდეს ან გამოიცვალოს და მომხმარებელს ზიანი უნდა აუნაზღაურდეს.

საბაჟო და სატარიფო რეგულაციები

DCFTA ითვალისწინებს საქართველოს საბაჟო სისტემის ევროკავშირის საბაჟო სისტემასთან დაახლოებას, რაც მიზნად ისახავს საქართველოს და ევროკავშირის ერთნაირი საბაჟო რეგულირების გარემოს შექმნას. ეს ყველაფერი ქართველ ექსპორტიორებს მინიმუმამდე შეუმცირებს ექსპორტის დანახარჯებს. მთლიანობაში, პროცესი ოთხწლიანია და საქართველოს მთავრობამ ის ეტაპობრივად უნდა განახორციელოს. 2018 წლის სექტემბრიდან ძალაში უნდა შევიდეს ახალი საბაჟო კოდექსი და შესაბამისი მეორადი კანონმდებლობა, რომელიც შესაბამისობაში იქნება ევროპულ კოდექსთან. შედეგად:

- ტრანზიტის საბაჟო პროცედურისას, საქართველოს საბაჟოს მიერ გაცემული სატრანზიტო დოკუმენტაცია და გარანტია იმოქმედებს როგორც ევროკავშირში, ისე შვეიცარიაში, ნორვეგიასა და თურქეთში. გადამზიდავები ვალდებულნი აღარ იქნებიან განმეორებით მოიპოვონ გარანტია ან ტრანზიტის ქვეყნის საბაჟოსთვის გააფორმონ დამატებითი დოკუმენტები საქონლის საქართველოს ტერიტორიიდან დანიშნულების ადგილამდე გატანის შესახებ;
- იმ შემთხვევაში, თუ საზღვარზე შეიქმნება სადავო სიტუაცია, ევროკავშირის საბაჟო სტრუქტურები გაატარებენ ყველა საჭირო ღონისძიებას, რათა მოხდეს საქონლის დროული გაშვება, ხოლო გადასახდელების გადახდა გადავადდება და დაექვემდებარება კანონით გათვალისწინებულ გადახდის უზრუნველმყოფელ ღონისძიებებს. საჭიროების შემთხვევაში, საქონლის გაშვებისათვის ბიზნეს ოპერატორმა უნდა წარადგინოს გარანტია, როგორიცაა თავდებობა ან დეპოზიტი;
- სავალდებულო აღარ იქნება საბაჟო ბროკერების გამოყენება, გადაზიდვისწინა შემოწმების ან დანიშნულების ადგილზე შემოწმების ჩატარება;
- მოსაკრებლებისა და გადასახდელების დაკისრება მოხდება მხოლოდ იმპორტიორის მოთხოვნის საფუძველზე იმ შემთხვევაში, თუ ის მოითხოვს საბაჟო კანონმდებლობით განსაზღვრული სამუშაო პირობების, საათებისა და ადგილებისაგან განსხვავებული პირობებით მომსახურების გაწევას. ამ შემთხვევაში, მოსაკრებლებისა და გადასახდელების ოდენობა არ გადააჭარბებს მიწოდებული მომსახურების ხარჯებს, გამოთვლა არ განხორციელდება ადვალორულ პრინციპზე დაყრდნობით, ანუ არ იქნება დაკავშირებული საქონლის საინვოისო ღირებულებასთან. ახალი სახით დაწესება არ მოხდება მანამ, სანამ აღნიშნული ინფორმაცია საჯაროდ არ გამოქვეყნდება.

საბაჟო ვალდებულებებთან დაკავშირებული დოკუმენტაციის შენახვის ვადა იქნება 3 წელი, ნაცვლად 6 წლისა.

ასოცირების შესახებ შეთანხმების მიხედვით, 2018 წლისთვის უნდა დაინერგებოს "უფლებამოსილი ეკონომიკური ოპერატორის" ინსტიტუტი. აღნიშნული სტატუსი მიენიჭება საქართველოს ექსპორტიორებს, რომლებიც დააკმაყოფილებენ განსაზღრულ პირობებს.

მისი საშუალებით, ისინი ნაკლები კონტროლის გარეშე. უფრო სწრაფად და იაფად მოახერხებენ ევროკავშირში ექსპორტისას საბაჟო პროცედურების განხორციელებას. ამჟამად შემუშავების პროცესშია კრიტერიუმები და საბოლოო სახით, სავარაუდოდ, 2018 წელს გახდება ცნობილი, თუმცა გასათვალისწინებელია, რომ ისინი საკმაოდ მკაცრი იქნება. აღნიშნული სტატუსის მიღებისთვის იარსებებს შემდეგი ზოგადი პირობები:

- ბიზნეს ოპერატორმა უნდა აწარმოოს კომერციული და სატრანსპორტო დოკუმენტაციის სრული აღრიცხვა და ბოლო 3 წლის განმავლობაში. მას არ უნდა ერიცხებოდეს საბაჟო/ საგადასახადო დარღვევა;
- ბიზნეს ოპერატორმა, საჭიროების შემთხვევაში, უნდა დაადასტუროს გადახდისუნარიანობა და არ უნდა იყოს გაკოტრების რეჟიმში;
- ბოლო 3 წლის განმავლობაში მის ანგარიშზე არ უნდა ირიცხებოდეს საგადასახადო ან საბაჟო დავალიანება;
- ექსპორტიორს უნდა გააჩნდეს საკმარისი ფინანსური რესურსები საკუთარი ვალდებულებების შესასრულებლად, რასაც დაადასტურებს კომპანიის ფინანსური დოკუმენტაციით (საბანკო ამონაწერით, აუდიტორული შემოწმების დასკვნით და სხვა);
- ბიზნეს ოპერატორი და მისი ინფრასტრუქტურა უნდა აკმაყოფილებდეს საბაჟოსთან დაკავშირებულ უსაფრთხოებისა და დაცვის სტანდარტებს. მაგალითად, საწყობი, რომელიც არ კონტროლდება საბაჟო ორგანოების მიერ, უნდა იყოს საიმედოდ დაცული. აღნიშნული წინაპირობა ყოველი სექტორისთვის განსხვავებულია თავისი სპეციფიკიდან გამომდინარე, ამიტომ, ბიზნეს ოპერატორი, სტატუსის მიღების თაობაზე განაცხადის გაკეთებამდე, შემოსავლების სამსახურისგან მიიღებს ინფორმაციას მის სფეროში არსებული უსაფრთხოების სტანდარტების თაობაზე.

საქონლის წარმოშობის წესები და წარმოშობის სერტიფიკატი

იმისთვის, რომ ქართული საქონელი საბაჟო ტარიფის გარეშე შევიდეს ევროკავშირის ბაზარზე, მან უნდა დააკმაყოფილოს წარმოშობასთან დაკავშირებული პირობები. საქონელი შეიძლება იყოს მთლიანად ან ნაწილობრივ საქართველოში წარმოშობილი. საქართველოში წარმოშობილ პროდუქციად ჩაითვლება:

- საქართველოში მოყვანილი მცენარეული პროდუქტები;
- საქართველოს ნიადაგიდან ან ზღვის ფსკერიდან ამოღებული მინერალური პროდუქტები;
- საქართველოში დაბადებული და გაზრდილი ცოცხალი საქონელი;
- საქართველოში განხორციელებული ნადირობითა თუ თევზჭერით მიღებული პროდუქცია;
- საზღვაო თევზჭერით მიღებული ან სხვაგვარი პროდუქცია, ამოღებული ზღვიდან საქართველოს მცურავი საშუალებების დახმარებით, მისი ტერიტორიული წყლების საზღვრებს გარეთ, მხოლოდ იმ პირობით, თუ ქვეყანას აქვს ზღვის ფსკერის ან წიაღის ამ მონაკვეთის დამუშავების საგანგებო უფლებები;
- საქართველოს მცურავ თევზსარეწში წარმოებული პროდუქცია;
- საქართველოში წარმოებული საქონელი, რომელიც მიღებულია ზემოთ ჩამოთვლილი პროდუქციისგან.

ნაწილობრივ წარმოშობილია პროდუქცია, თუ მისმა მასალებმა საქართველოს ტერიტორიაზე განიცადა საკმარისი დამუშავება ან გადამუშავება. მსგავსი საქონელიც სარგებლობს თავისუფალი სავაჭრო რეჟიმით.

წარმოშობის სერტიფიკატი EUR.1

საქართველოდან ევროკავშირში საქონლის ექსპორტისას თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმებით განსაზღვრული შეღავათებით სარგებლობისთვის, საჭირო იქნება საქონლის პრეფერენციული წარმოშობის სერტიფიკატის - EUR.1-ის აღება. EUR.1 გაიცემა შემოსავლების სამსახურის მიერ.

EUR.1 სერტიფიკატის აღება (ასევე თურქეთში ექსპორტირების შემთხვევაში)

სავალდებულოა, თუ ექსპორტიორს სურს ისარგებლოს საბაჟო-სატარიფო შეღავათებით. იმ შემთხვევაში, თუ საქართველოში წარმოებული საქონელი ვერ აკმაყოფილებს წარმოშობის კრიტერიუმებს და ბიზნეს ოპერატორს მისი ევროკავშირში ან თურქეთში შეღავათების გარეშე ექსპორტი სურს, მას შეუძლია აიღოს არაპრეფერენციული წარმოშობის სერტიფიკატი. ის ასევე გაიცემა სხვა ქვეყანაში წარმოშობილი პროდუქციის საქართველოდან ექსპორტის დროსაც (საქონლის წარმოშობის დამადასტურებელი სერტიფიკატის საფუძველზე).

წარმოშობის სერტიფიკატი ძალაში იქნება ექსპორტიორ ქვეყანაში მისი გაცემის დღიდან 4 თვის განმავლობაში და ამ ხნის განმავლობაში უნდა წარედგინოს იმპორტიორი ქვეყნის საბაჟო სამსახურს, იმ ქვეყანაში მოქმედი პროცედურების თანახმად. ზემოთ ხსენებულმა საბაჟო უწყებამ შეიძლება მოითხოვოს წარმოშობის სერტიფიკატის თარგმანი და, ასევე, იმპორტის დეკლარაციასთან ერთად, იმპორტიორის ანგარიში იმის შესახებ, რომ პროდუქცია აკმაყოფილებს წინამდებარე შეთანხმების განხორციელებისთვის საჭირო პირობებს.

იმ ქართველი ექსპორტიორებისთვის, რომელთაც ევროკავშირის ბაზარზე საკუთარი ნაწარმის შეტანა საბაჟო გადასახადის გარეშე სურთ, EUR.1-ის აღება უფასოა. საქართველოს ექსპორტიორებს საქონლის წარმოშობის სერტიფიკატის აღება შეუძლიათ საქართველოს შემოსავლების სამსახურის შემდეგ სერვის ცენტრებში:

- საბაჟო დეპარტამენტი, თბილისი;
- საბაჟო გამშვები პუნქტი „თბილისის აეროპორტი“;
- საბაჟო გამშვები პუნქტი „ბათუმის პორტი“;
- საქონლის გაფორმების სამმართველო: გარდაბნის მუნიციპალიტეტი, სოფელი მარტყოფი, თბილისის შემოსავლელი გზის 36-ე კილომეტრი;
- შემოსავლების სამსახურის რუსთავის განყოფილება;
- შემოსავლების სამსახურის თელავის განყოფილება;
- შემოსავლების სამსახურის ახალციხის განყოფილება;
- შემოსავლების სამსახურის ქუთაისის განყოფილება;
- გაფორმების ეკონომიკური ზონა „თბილისი“;
- გაფორმების ეკონომიკური ზონა „აეროპორტი“;
- გაფორმების ეკონომიკური ზონა „ბათუმი“;
- გაფორმების ეკონომიკური ზონა „ფოთი“.

EUR.1-ის გაცემისათვის აუცილებელი დოკუმენტებია:

1. განცხადება
2. დეკლარაცია საქონლის კუთვნილებისა და კრიტერიუმების შესახებ
3. კონტრაქტი
4. ანგარიშფაქტურა (ინვოისი)
5. შესაბამისობის სერტიფიკატი ყურძნისეული წარმოშობის პროდუქტების ექსპორტის შემთხვევაში.

საბაჟო დეპარტამენტს უფლება აქვს, საჭიროებიდან გამომდინარე, მოითხოვოს დამატებითი დოკუმენტაცია. წარმოშობის სერტიფიკატი EUR.1 გაიცემა განცხადების რეგისტრაციიდან 3 სამუშაო დღის განმავლობაში.

მოთხოვნები სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის მწარმოებელებისთვის – ვეტერინარია, მცენარეთა დაცვა, სურსათის უვნებლობა

DCFTA-ის მე-4 თავი (სანიტარიული და ფიტოსანიტარიული ზომები) სურსათის უვნებლობის საკითხებს ეხება, რაც საკანონმდებლო ზომების ევროკავშირის ნორმებთან დაახლოებას ითვალისწინებს.[5]

აღნიშნული თავის მიზანია, ხელი შეუწყოს ცხოველებითა და მცენარეებით, ასევე

5. სრული ტექსტი. http://eeas.europa.eu/georgia/pdf/eu-ge_aa-dcfta_en.pdf

ცხოველური და მცენარეული წარმოშობის პროდუქტებით ვაჭრობას და ამავე დროს, უზრუნველყოს მხარეთა მიერ დაცვის სათანადო ხარისხი. გარდა ამისა, საქართველომ სანიტარული და ფიტოსანიტარული კანონმდებლობა შესაბამისობაში უნდა მოიყვანოს ევროკავშირის კანონმდებლობასთან (რომელიც ეფუძნება საყოველთაოდ აღიარებულ სანიტარულ და ფიტოსანიტარულ სტანდარტებს). შედეგად, საქართველოს ცხოველთა და მცენარეთა ჯანმრთელობის მექანიზმები (კანონი, ადმინისტარციული შესაძლებლობები და განხორციელება) ევროკავშირის მექანიზმების ეკვივალენტურად იქნება მიჩნეული.
სტანდარტების ასეთი ეკვივალენტურობა ნიშნავს, რომ ქართული პროდუქტები, რომელთა ექსპორტირებაც ამჟამად არ არის სანიტარული და ფიტოსანიტარული მოსაზრებებით დაშვებული (ანუ, ცხოველური წარმოშობის პროდუქტები, მათ შორის რძის ნაწარმი, სხვა), ევროკავშირის ბაზარზე იქნება დაშვებული და ისევე გაიყიდება, როგორც ევროკავშირის ადგილობრივი პროდუქტები. პროცესი, რომელმაც სანიტარული და ფიტოსანიტარული სტანდარტების ეკვივალენტურობასთან უნდა მიგვიყვანოს, მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის სანიტარული და ფიტოსანიტარული შეთანხმების პრინციპებს ეფუძნება და მოიცავს: საქართველოს მიერ ვალდებულების აღებას, რომ სანიტარულ და ფიტოსანიტარულ სტანდარტებს და ცხოველთა ჯანმრთელობის კანონმდებლობას ევროკავშირის ნორმებთან შესაბამისობაში მოიყვანს და მათ განსახორციელებლად ინსტიტუციურ/ადმინისტრაციულ შესაძლებლობებს უზრუნველყოფს; შექმნის სწრაფ საკონსულტაციომექანიზმს,რათადაძლიოსსავაჭრობარიერებიიმსაქონლითვაჭრობაში, რომელსაც სანიტარული და ფიტოსანიტარული ზომები ეხება; და აამოქმედებს სწრაფი განგაშისა და ადრეული გაფრთხილების სისტემას ვეტერინარული და ფიტოსანიტარული საგანგებო მდგომარეობისთვის; გარკვეული პირობების დროს, საქართველოს შეუძლია მონაწილეობა მიიღოს ევროკავშირის ადრეული გაფრთხილების შესაბამის სისტემებში.
საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტრომ მუშაობა დაასრულა იმ კანონების ჩამონათვალზე, რომლებიც საჭიროა საქართველოს კანონმდებლობის ევროკავშირის კანონმდებლობასთან დასაახლოვებლად. სია მოიცავს სურსათის უვნებლობის, ვეტერინარულ და მცენარეთა დაცვის სფეროებს და მასში მითითებულია დაახლოების თარიღები. ამ თარიღების პრიორიტეტულობა განსაზღვრულია სურსათის უვნებლობის, ვეტერინარული და მცენარეთა დაცვის სტანდარტების უზრუნველსაყოფად კანონმდებლობის მნიშვნელოვანების გათვალისწინებით. მოკლევადიან პერსპექტივაში აუცილებელი ცვლილებები შევა იმ კანონებში, რომლებიც უკვე მოქმედებს და გადასინჯვას საჭიროებს.
ვინაიდან საქართველო ასოცირებული ქვეყანაა და არა წევრობის კანდიდატი ქვეყანა, ეს ვალდებულებები და მოთხოვნები შედარებით „რბილია“ და ჰარმონიზება შესაძლებლობას ტოვებს, გათვალისწინებული იქნეს საქართველოს რეალობა. გარდა ამისა, სურსათის უვნებლობის, ვეტერინარულ და მცენარეთა დაცვის მოთხოვნები 2020 წლამდე არ ვრცელდება შინამეურნეობებზე და საოჯახო მეურნეობებზე.

რეგულაციები (დირექტივები) სოფლის მეურნეობის პროდუქციის პირველადი მწარმოებლებისთვის და სურსათის მწარმოებლებისთვის[6]

საქართველოს კანონმდებლობის დაახლოება ევრო დირექტივებთან უნდა განხორციელდეს ეტაპობრივად და უნდა დასრულდეს 2030 წელს. საქართველოს მთავრობას დამტკიცებული აქვს საკანონმდებლო დაახლოების გეგმა (მოსაპოვებელია). გარდა ამისა, არსებობს სოფლის მეურნეობის სექტორში ქვე-სექტორების მიხედვით შემუშავებული საკანონმდებლო საქმიანობის გეგმა, რომელიც ვალდებულებების შესაბამისად შემდეგნაირად გამოიყურება:

- სურსათის უვნებლობა (101 დირექტივა და რეგულაცია);
- მცენარეთა დაცვა (86 დირექტივა და რეგულაცია);
- ვეტერინარია (188 დირექტივა და რეგულაცია).

აღსანიშნავია, რომ გეგმით განსაზღვრული 2015 წელს მისაღები ყველა

6. მოთხოვნები პირველადი მწარმოებლებისთვის და სურსათის მწარმოებლებისთვის ცალცალკე მოცემულია დანართებში

რეგულაცია და დირექტივა უკვე დამტკიცებულია ერთის გარდა (Regulation (EC) No 853/2004, რომელიც ადგენს ჰიგიენის სპეციფიკური წესებს ცხოველური წარმოშობის პროდუქტისათვის). თუმცა, არსებობს, ძველი 2012 წელს დამტკიცებული დადგენილება, რომელიც ნაწილობრივ ფარავს ამ რეგულაციის მოთხოვნებს, რაზეც საუბარი იქნება ქვემოთ. ამის გათვალისწინებით (თუ ჩავთვლით, რომ აღნიშნული რეგულაცია ჯერ დამტკიცებული არ არის), სურსათის უვნებლობაში დასამტკიცებელი იყო 16 დირექტივა და აქედან დამტკიცებულია 15:

1. **Regulation (EC) No 178/2002** - ადგენს სურსათის კანონის ძირითად პრინციპებს და მოთხოვნებს, ასევე პროცედურებს სურსათის უსაფრთხოების კუთხით;
2. **Regulation (EU) No 16/2011** - ადგენს სწრაფი განგაშის სისტემისთვის განმახორციელებელ ზომებს სურსათისა და ცხოველის საკვებთან დაკავშირებით;
3. **Decision 2004/478/EC** - ეხება სურსათის/ცხოველის საკვების კრიზისული მდგომარეობის მართვის ზოგადი გეგმის მიღებას;
4. **Regulation (EC) No 852/2004** - ეხება სურსათის ჰიგიენას;
5. **Regulation (EC) No 854/2004** - ადგენს ადამიანის მოხმარებისთვის განკუთვნილი ცხოველური წარმოშობის სურსათის ოფიციალური კონტროლის ორგანიზების კონკრეტულ წესებს;
6. **Regulation (EC) No 2073/2005** - ადგენს სურსათში მიკრობიოლოგიურ კრიტერიუმებს;
7. **Regulation (EC) No 2074/2005** - ადგენს ევროპარლამენტისა და ევროსაბჭოს N853/2004 რეგულაციით გათვალისწინებულ განმახორციელებელ ზომებს (ღონისძიებებს) კონკრეტული პროდუქტებისათვის;
8. **Regulation (EC) No 882/2004** - ეხება ოფიციალურ კონტროლის განხორციელებას სურსათსა და ცხოველის საკვების კანონმდებლობასთან და ცხოველთა ჯანმრთელობისა და კეთილდღეობის წესებთან შესაბამისობის შემოწმების უზრუნველყოფის მიზნით;
9. **Regulation (EU) No 931/2011** - ადგენს ევროპარლამენტისა და ევროსაბჭოს N178/2002 რეგულაციით დადგენილ მიკვლევადობის მოთხოვნებს;
10. **Directive 96/23/EC** - ადგენს ცოცხალ ცხოველებში და მათგან დამზადებულ პროდუქტში კონკრეტული ნივთიერებების და მათი ნარჩენების მონიტორინგის ღონისძიებს;
11. **Decision 97/747/EC** - ადგენს ზოგიერთ ცხოველურ პროდუქტში კონკრეტული ნივთიერებებისა და მათი ნარჩენების მონიტორინგისთვის სინჯის აღების დონეებს და სიხშირეს;
12. **Directive 96/22/EC** - ეხება მესაქონლეობაში ჰორმონული ან თირეოსტატიკური მოქმედებისა და ბეტა-აგონისტების გამოყენების აკრძალვას;
13. **Regulation (EEC) No 315/93** - ადგენს პროცედურებს სურსათში დამაბინძურებლების არსებობისას;
14. **Regulation (EC) No 1760/2000** - ადგენს მსხვილფეხა საქონლის იდენტიფიცირება რეგისტრაციის სისტემას და ეხება ხორცისა და ხორცის პროდუქტების ეტიკეტირებას;
15. **Regulation (EC) No 1881/2006** - ადგენს საკვებ პროდუქტებში კონკრეტული დამაბინძურებლების ზღვრულად დასაშვებ დონეებს.

მცენარეთა დაცვაში დამტკიცებულია ოთხივე დასამტკიცებელი დირექტივა:

1. **Directive 2008/61/EC** - ეხება პირობებს, გარკვეული მავნე ორგანიზმებისათვის, მცენარეთათვის, მცენარეული პროდუქტებისათვის და სხვა ობიექტებისათვის, რომელიც მოცემულია ევროსაბჭოს 2000/29/EC დირექტივის I-V დანართებში და რომლებიც შესაძლებელია შემოტანილ იქნას და გადაადგილდეს ევროკავშირში ან/და დაცულ ზონებში ცდების სამეცნიერო ან სელექციური მიზნებისათვის;
2. **Recommendation 2014/63/EU** - ეხება დასავლეთის სიმინდის ხოჭოს Diabrotica virgifera virgifera Le Conte კონტორლის მიზნით გასატარებელ ღონისძიებებს;
3. **Directive 2004/105/EC** - ეხება ოფიციალური ფიტოსანიტარული სერთიფიკატის ან რეექსპორტისთვის განკუთვნილი ფიტოსანიტარული სერთიფიკატების ფორმებს, რომლებიც თან ერთვის მესამე ქვეყნებიდან შემოტანილ მცენარეებს, მცენარეთა პროდუქტებსა და სხვა ობიექტებს;
4. **Directive 94/3/EC** - ეხება ტვირთის დაკავების შეტყობინების პროცედურებს ან

მავნე ორგანიზმებს, რომელიც მოდის მესამე ქვეყნიდან და წარმოადგენს გარდაუვალ ფიტოსანიტარიულ საფრთხეს.
ვეტერინარიაში დამტკიცებულია ათივე დასამტკიცებელი დირექტივა:
1. **Council Regulation (EC) No 21/2004, Regulation (EC) No 1782/2003, Directives 92/102/EEC and 64/432/EEC** - ადგენს წვრილფეხა საქონლის (ცხვრებისა და თხების) იდენტიფიკაცია რეგისტრაციის სისტემას;
2. **Regulation (EC) No 1505/2006, Regulation (EC) No 21/2004** - ადგენს წვრილფეხა საქონლის (ცხვრებისა და თხების) იდენტიფიკაციასა და რეგისტრაციასთან დაკავშირებულ სახელმწიფო კონტროლის სიხშირეს;
3. **Directive 2003/85/EC, Directive 85/511/EEC, Decisions 89/531/EEC, 91/665/EEC, Directive 92/46/EEC** - ადგენს თურქულის კონტროლის ღონისძიებებს;
4. **Regulation (EC) No 1760/2000, Regulation (EC) No 820/97** - ადგენს მსხვილფეხა საქონლის იდენტიფიკაცია-რეგისტრაციის სისტემის ჩამოყალიბების და საქონლის ხორცისა და მისი პროდუქტების ეტიკეტირების წესებს;
5. **Regulation (EC) No 1082/2003, Regulation (EC) No 1760/2000** - ადგენს დეტალურ წესებს ევროპარლამენტის და საბჭოს N1760/2000 რეგულაციის განხორციელებისთვის, რომელიც უკავშირდება მსხვილფეხა საქონლის იდენტიფიკაციისა და რეგისტრაციის სისტემის ფარგლებში განსახორციელებელი კონტროლის მინიმალურ ღონისძიებებს;
6. **Regulation (EC) No 911/2004, Regulation (EC) No 1760/2000** - ევროპარლამენტის და საბჭოს N1760/2000 რეგულაციის დამნერგავი რეგულაცია, საყურე ნიშნების, პასპორტების და სადგომების რეგისტრაციასთან დაკავშირებით;
7. R**egulation (EC) No 494/98, Regulation (EC) No 820/97** - ადგენს დეტალურ წესებს საბჭოს N820/97 რეგულაციის განხორციელებისთვის, მსხვილფეხა საქონლის იდენტიფიკაცია და რეგისტრაციის სისტემის ფარგლებში მინიმალური ადმინისტრაციული სანქციების გამოყენებასთან დაკავშირებით;
8. **Directive 2002/60/EC, Directive 92/119/EEC** - ადგენს ღორის აფრიკული ჭირის კონტროლის სპეციფიკურ წესებს;
9. **Directive 92/66/EEC** - ადგენს ნიუკასლის დაავადების კონტროლის ღონისძიებებს;
10. **Directive 2001/89/EC** - ადგენს ღორის კლასიკური ჭირის კონტროლის ღონისძიებებს.
რაც შეეხება, 2016 წელს, გეგმით გათვალისწინებული დირექტივებიდან, მომზადებულია ყველა პროექტი (სურსათის უვნებლობა 13, ვეტერინარია 9 და მცენარეთა დაცვა 3) და მიმდინარეობს დირექტივების შეთანხმება და დამტკიცება. 2016 წლის დეკემბრის მდგომარეობით დამტკიცებულია რვა დირექტივა:
1. **Regulation (EU) No 37/2010** - ადგენს ფარმაკოლოგიურად აქტიური ნივთიერებების, მათი კლასიფიკაციისა და ცხოველური წარმოშობის სურსათში ნარჩენების მაქსიმალური ზღვრის შესახებ ტექნიკურ რეგლამენტს (სურსათის უვნებლობა);
2. **Regulation (EU) No 1169/2011 of the European Parliament repealing Commission Directive 87/250/EEC, Council Directive 90/496/EEC, Commission Directive 1999/10/EC, Directive 2000/13/EC of the European Parliament and of the Council, Commission Directives 2002/67/EC and 2008/5/EC and Commission Regulation (EC) No 608/2004 Text with EEA relevance** - ამტკიცებს ტექნიკურ რეგლამენტს მომხმარებლისათვის სურსათის შესახებ ინფორმაციის მიწოდების თაობაზე (სურსათის უვნებლობა);
3. **Council Directive 2007/33/EC repealing Directive 69/465/EEC** - ადგენს კარტოფილის ცისტიანი ნემატოდების კონტროლის წესს (მცენარეთა დაცვა);
4. **Regulation No 1760/2000** - ამტკიცებს ტექნიკური რეგლამენტს საქონლის ხორცისა და საქონლის ხორცის პროდუქტების ეტიკეტირების წესის შესახებ (სურსათის უვნებლობა);
5. **Council Directive 2008/71/EC** - ადგენს ღორების იდენტიფიკაცია-რეგისტრაციასთან დაკავშირებულ მოთხოვნებს (ვეტერინარია);
6. **Regulation (EC) No 396/2005** - ადგენს მცენარეული და ცხოველური წარმოშობის სურსათში და ცხოველის საკვებში პესტიციდების ნარჩენების ზღვრულად დასაშვები დონეს (სურსათის უვნებლობა);
7. **Regulation (EC) No 1333/2008** - ადგენს დაშვებული საკვებ დანამატების სიას, მათი

გამოყენების პირობებს და ეტიკეტირების წესებს (სურსათის უვნებლობა);
8. Commission Directive 92/90/EEC - დირექტივა ავალდებულებს მცენარეების, მცენარეთა პროდუქტების ყველა მწარმოებელს, კოლექტიურ საწყობს, სადისპეჩერო ცენტრს, ან იმპორტიორს, დარეგისტრირდეს შესაბამის მარეგისტირებელ ორგანოში. მარეგისტრირებელმა ორგანომ უნდა მიანიჭოს თითოეულ რეგისტრირებულს უნიკალური კოდი, მათი მარტივად იდენტიფიცირებისთვის (მცენარეთა დაცვა).

ცალკე უნდა გამოიყოს ინფორმაცია თაფლის, რძის და თხილის ტექნიკური რეგლამენტების შესახებ.

თაფლის ტექნიკური რეგლამენტი ძალაში შევიდა 2015 წლის 1 ივლისს. ტექნიკური რეგლამენტი ადგენს მოთხოვნებს ნატურალური თაფლის მიმართ და აწესრიგებს ბიზნეს ოპერატორის მიერ თაფლის წარმოებისა და რეალიზაციის საკითხებს. ტექნიკური

რეგლამენტი ავალდებულებს მეფუტკრეს დარეგისტრირდეს ბიზნეს ოპერატორად და აწარმოოს და გაყიდოს ეტიკეტირებული თაფლი. თაფლის მწარმოებლებს წაყენებული აქვთ გარკვეული ჰიგიენური მოთხოვნები:
- ტერიტორია და შენობები უნდა შეირჩეს ცხოველთა სადგომების, ნაგავსაყრელის, გუბურებისა და სხვა დაბინძურებული ადგილებიდან მოშორებით;
- სკა, ჭურჭელი, ყუთი და სხვა სადისტრიბუციო და გადასაზიდი საშუალებები უნდა იყოს სუფთად შენახული;
- საფუტკრე მეურნეობაში თაფლის წარმოების ეტაპზე გამოყენებული უნდა იყოს სასმელი წყალი, რომელიც აკმაყოფილებს კანონმდებლობით განსაზღვრულ მოთხოვნებს;
- საწარმოო ნარჩენები რეგულარულად უნდა იყოს გატანილი და წარმოება დაცული უნდა იყოს ცხოველებისგან, მღრღნელებისგან, ფრინველებისგან და სხვა მავნებლებისგან;
- სისტემატურად უნდა გაკონტროლდეს ფუტკრის დაავადებები, გამოყენებული პრეპარატები და დაცული უნდა იყოს ლოდინის დაყოვნების პერიოდი.

თაფლის მწარმოებელი ვალდებულია ფლობდეს ინფორმაციას იმ პირის ან ბიზნეს ოპერატორის შესახებ, ვისაც აწვდის თაფლს.აკრძალულია:
- არარეგისტრირებული ვეტერინარული პრეპარატებისა და ნივთიერებების სამკურნალო ან პროფილაქტიკური დანიშნულებით გამოყენება;
- ბაზარზე განთავსებულ თაფლში საკვებდანამატებისა და სხვა საკვები ინგრედიენტების დამატება;
- თაფლის მჟავიანობის ხელოვნურად შეცვლა;
- თაფლის გაცხელება და გადამუშავება იმგვარად, რომ შეიცვალოს მისი ძირითადი მაჩვენებლები.

თაფლი არ უნდა შეიცავდეს ევროკავშირში აკრძალული ვეტერინარული პრეპარატების ნარჩენ ნივთიერებებს: ქლორამფენიკოლს (ლევომიცეტინი), ნიტროფურანებს,

მეტროდინაზოლს, ქლორორგანული და ფოსფორორგანული პესტიციდების ნარჩენ ნივთიერებებს, სხვა მდგრად ორგანულ დამაბინძურებლებს.
ევროკავშირთან მიღწეული იქნა შეთანხმება ქართული თაფლის და მატყლის ევროკავშირში ექსპორტის შესახებ. თაფლის ექსპორტს ბოლო წლებში მზარდი ტენდენცია გააჩნია - 2005 წელს 0.7 ტონა, ხოლო 2015 წლისთვის 8.3 ტონა შეადგინა.

რძის და რძის ნაწარმის ტექნიკური რეგლამენტი ძალაში შევიდა 2015 წლის 1 აგვისტოს და ადგენს მოთხოვნებს რძის, რძის ნაწარმის და რძის შემცველი პროდუქტის მიმართ და აწესრიგებს ბიზნესოპერატორის მიერ რძის, რძის ნაწარმის და რძის შემცველი პროდუქტის წარმოებისა და ბაზარზე განთავსების პირობებს. ტექნიკური რეგლამენტი ახდენს სხვადასხვა სახეობის რძის და რძის ყველა ნაწარმის დეფინიციას (ნაღები, რძემჟავა, აირანი, იოგურტი, კეფირი, კუმისი, არაჟანი, ხაჭო, ნადუღი, კარაქი, ცხიმი, ყველი, დო და სხვა).
ბაზარზე განთავსებული რძე, რძის ნაწარმი და რძის შემცველი პროდუქტი უნდა იყოს ეტიკეტირებული და უნდა აკმაყოფილებდეს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ უვნებლობის მოთხოვნებს.
ბაზარზე განთავსებული რძე, რძის ნაწარმი და რძის შემცველი პროდუქტები, წარმოებაში გამოყენებული რძისათვის არადამახასიათებელი ინგრედიენტები (არარძისმიერი ინგრედიენტები) უნდა აკმაყოფილებდნენ საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ უვნებლობის მოთხოვნებს.
ბიზნეს ოპერატორმა, რომელიც ეწევა რძის პირველად წარმოებას, უნდა უზრუნველყოს, რომ ნედლი რძე მიღებულ იქნეს ისეთი ცხოველისაგან:
- რომელსაც არ აღენიშნება ადამიანისათვის რძის მეშვეობით გადამდები ინფექციური დაავადებების სიმპტომები;
- რომელიც ჯანმრთელია და არ აღენიშნება ისეთი დაავადების სიმპტომები, რომლებმაც შეიძლება გამოიწვიოს რძის დაბინძურება, კერძოდ: არ აღენიშნება სასქესო ორგანოს ინფიცირება, რომელსაც თან ახლავს გამონადენი, ენტერიტი, ასევე, რომელსაც თან ახლავს დიარეა და სიცხე, ან სარძევე ჯირკვლის შესამჩნევი ანთება;
- რომელსაც არ აქვს დაზიანებული სარძევე ჯირკვალი, რამაც შესაძლებელია, უარყოფითი გავლენა მოახდინოს რძის უვნებლობაზე;
- რომელსაც არ მიუღია ისეთი ნივთიერება (მათ შორის, ვეტერინარული პრეპარატები), რომლის გამოყენებაც აკრძალულია საქართველოს კანონმდებლობით;
- რომელსაც საქართველოს კანონმდებლობით ნებადართული ნივთიერებების (მათ შორის, ვეტერინარული პრეპარატები) მიღების შემთხვევაში, აღნიშნული ნივთიერებები სრულად აქვს გამოდევნილი ორგანიზმიდან, თუ აღნიშნული სავალდებულოა, ამ ცხოველისგან მიღებული რძის უვნებლობის უზრუნველსაყოფად.
ნედლი რძე უნდა იქნეს მიღებული:
- იმ ძროხის ან კამეჩის სადგომიდან/დროებითი სადგომიდან, სადაც ბრუცელოზი არ არის აღმოჩენილი;
- იმ თხის ან ცხვრის სადგომიდან/დროებითი სადგომიდან, სადაც ბრუცელოზი არ არის აღმოჩენილი;
- იმ ძროხის ან კამეჩის სადგომიდან/დროებითი სადგომიდან, სადაც ტუბერკულოზი არ არის აღმოჩენილი.
ტექნიკური რეგლამენტი აწესებს სპეციალურ მოთხოვნებს რძის წარმოების ადგილსა და აღჭურვილობაზე, რძის წველის პროცესზე, რძის შეგროვებასა და ტრანსპორტირებაზე.
სარეალიზაციოდ განკუთვნილ ნედლ რძესა და რძის ნაწარმს უნდა ჰქონდეს საიდენტიფიკაციო ნიშანი.

თხილის ტექნიკური რეგლამენტი ძალაში შევიდა 2016 წლის 1 ივნისს და ადგენს მოთხოვნებს ჩვეულებრივი თხილის და მათი კულტივირებული ჰიბრიდების ნაყოფის მიმართ და ვრცელდება იმ ბიზნეს ოპერატორებზე, რომლებიც ახორციელებენ გატეხილი ან/და გადამუშავებული თხილის ექსპორტს. ტექნიკური რეგლამენტი მიზნად ისახავს ექსპორტისათვის განკუთვნილი თხილის რეგულირების პრინციპების განსაზღვრას.

ტექნიკური რეგლამენტი აწესებს მოთხოვნებს გაუტეხავი თხილის, თხილის გულისა და გადამუშავებული თხილის მიმართ, მათ შორის მოთხოვნებს თხილის შემადგენლობის, ზომის, წონის და ფორმის მიმართ. ტექნიკურ რეგლამენტში ასევე მოცემულია მოთხოვნები უვნებლობის, შეფუთვისა და ეტიკეტირებისადმი. ტექნიკური რეგლამენტით ასევე დადგენილია ჰიგიენური მოთხოვნები ბიზნეს ოპერატორისადმი.

პრიორიტეტული დირექტივები

საქართველოს სოფლის მეურნეობის სტრუქტურის, ასევე განვითარებული პირველადი სასოფლო-სამეურნეო საქმიანობის სპეციფიკიდან გამომდინარე, რამდენიმე დირექტივას გავლენის ფართო არეალი გააჩნია და პირდაპირ ზეგავლენას ახდენს დიდი რაოდენობით მწარმოებელზე და შესაბამისად, მომხმარებელზე. დირექტივების შერჩევისას გათვალისწინებულია დამტკიცების ვადა. შერჩეული დირექტივების უმრავლესობა უკვე დამტკიცებულია ან უნდა დამტკიცდეს 2016 წელს. ამ ნიშნით შერჩეული დირექტივების აღწერილობა მოცემულია ქვემოთ ქვე-სექტორების მიხედვით.

სურსათის უვნებლობა

Regulation (EC) No 178/2002 - სურსათის კანონის ძირითადი პრინციპები და მოთხოვნები, ასევე პროცედურები სურსათის უსაფრთხოების კუთხით - დამტკიცებულია 2015 წელს. სურსათის/ცხოველის საკვების უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის კოდექსში შეტანილი ცვლილებებით დეტალურად გაიწერა

ტერმინთა განმარტებები. კერძოდ, განიმარტა ისეთი ტერმინები, როგორიცაა ვეტერინარია, ბიოწარმოება, ცხოველი, შინაური ცხოველი, ხარისხი, ბიზნეს ოპერატორის აღიარება, ცხოველთა კეთილდღეობა. ასევე განიმარტა ცხოველური და მცენარეული საკვები, რომელიც გულისხმობს ისეთ პროდუქტსაც, რომელიც ადამიანის საკვებად არაა განკუთვნილი. კოდექსს დაემატა მუხლი, ცხოველის/მცენარეული საკვების ისეთი რეკლამირების, ეტიკეტირების ან წარდგენის დაუშველობის შესახებ, რომელმაც შეცდომაში შეიძლება შეიყვანოს მომხმარებელი. ასევე დაიხვეწა სურსათისა და ცხოველთა საკვების უვნებლობის, ვეტერინარიის და მცენარეთა დაცვის მოთხოვნები.
ცვლილებები შეეხო ბიზნეს ოპერატორის რეგისტრაციას. ბიზნეს ოპერატორი გულისხმობს იმ მეწარმეს ან სხვა იურიდიულ პირს, რომლის საქმიანობა სურსათის და ცხოველის საკვების, ცხოველის, მცენარის, ცხოველის და მცენარეული პროდუქტის, ვეტერინარული პრეპარატის, პესტიციდის, აგროქიმიკატის წარმოებას, გადამუშავებას, დისტრიბუციას, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის სფეროში მომსახურებას უკავშირდება.
პროექტის შესაბამისად, ცვლილება შევიდა იმ მუხლებშიც, რომლებიც სოფლის მეურნეობის და ჯანდაცვის სამინისტროების, სურსათის ეროვნული სააგენტოს უფლებამოსილებებს და ვალდებულებებს ეხება. ერთმანეთისგან გაიმიჯნა სახელმწიფო კონტროლის სახეები და მექანიზმები. კოდექსიდან ამოიღეს ის თავები, რომელიც ინსპექტირების, ზედამხედველობის, მონიტორინგის, ნიმუშის აღებისა და დოკუმენტაციის შემოწმებას ეხება. ეს საკითხები ეტაპობრივად კანონქვემდებარე აქტებით დარეგულირდება.
ზოგადად, კოდექსის მიზანია ადამიანის სიცოცხლისა და ჯანმრთელობის, მომხმარებელთა ინტერესების, ცხოველთა ჯანმრთელობისა და კეთილდღეობის, მცენარეთა სიჯანსაღის დაცვა, აგრეთვე სურსათის/ცხოველის საკვების უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის სფეროებში სახელმწიფო რეგულირების ერთიანი პრინციპების განსაზღვრა და სახელმწიფო კონტროლის ეფექტიანი სისტემის ჩამოყალიბება. კოდექსი ვრცელდება სურსათის/ცხოველის საკვების, ცხოველის, მცენარის, ცხოველური და მცენარეული პროდუქტების წარმოებაზე, გადამუშავებასა და დისტრიბუციაზე, რომლებიც ხორციელდება საქართველოს ტერიტორიაზე, პირველად წარმოებაზე, ცხოველთა ჯანმრთელობასა და კეთილდღეობაზე, მცენარეთა სიჯანსაღეზე, ვეტერინარულ პრეპარატებზე, პესტიციდებსა და აგროქიმიკატებზე, აგრეთვე გარემოს

დაცვაზე ამ კოდექსის მიზნიდან გამომდინარე.
კოდექსის მიხედვით, სურსათის ბიზნეს ოპერატორს დანერგილი უნდა ჰქონდეს სურსათის უვნებლობის პროცედურები **საფრთხის ანალიზისა და კრიტიკული საკონტროლო წერტილების პრინციპების (HACCP) სისტემის** პრინციპების შესაბამისად. HACCP სისტემა არ არის სავალდებულო იმ ბიზნეს ოპერატორებისთვის, რომლებიც პირველად წარმოებას ახორციელებენ.
Regulation (EC) No 852/2004 - სურსათის ჰიგიენა - დამტკიცებულია 2015 წლის 16 ოქტომბერს 2010 წლის 25 ივნისის N 173 დადგენილებაში („სურსათის/ცხოველის საკვების მწარმოებელი საწარმოს/დისტრიბუტორის ჰიგიენის ზოგადი წესისა და სურსათის უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის სფეროებში ზედამხედველობის, მონიტორინგისა და სახელმწიფო კონტროლის განხორციელების წესის შესახებ“) ცვლილებების შეტანით. დადგენილებით დამტკიცებული ტექნიკური რეგლამენტი – სურსათის/ცხოველის საკვების ჰიგიენის ზოგადი წესი ადგენს ზოგად ჰიგიენურ მოთხოვნებს სურსათის/ცხოველის საკვების მიმართ და ვრცელდება სურსათის/ცხოველის საკვების წარმოების, მათ შორის, პირველადი წარმოების, გადამუშავებისა და დისტრიბუციის ყველა ეტაპზე.
ამ წესით ადასაქართველოს კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნები სავალდებულოა ბიზნეს ოპერატორებისათვის, რომლებიც ახორციელებენ სურსათის/ცხოველის საკვების წარმოებას, მათ შორის, პირველად წარმოებას, გადამუშავებას ან/და დისტრიბუციას.
შესაძლებელია, ბიზნეს ოპერატორის მიერ, რომელიც ახორციელებს სურსათის/ცხოველის საკვების წარმოებას, მათ შორის, პირველად წარმოებას, გადამუშავებას, დისტრიბუციას, გამოყენებულ იქნეს ამ წესისაგან განსხვავებული წესები იმ შემთხვევაში, თუ განსხვავებული წესებით ზოგადი ჰიგიენური მოთხოვნების უზრუნველყოფის მდგომარეობა დასაბუთებული იქნება ბიზნეს ოპერატორის მიერ.
ეს წესი არ ვრცელდება:
- ოჯახური წარმოების სუბიექტზე;
- იმ ბიზნეს ოპერატორზე, რომელსაც სურსათის/ცხოველის საკვების უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის კოდექსის შესაბამისად, აქვს მცირე ბიზნესის სტატუსი და ახორციელებს სურსათის/ცხოველის საკვების წარმოებას, გადამუშავებასა და დისტრიბუციას, ასევე პირველად წარმოებას;
- იმ ბიზნეს ოპერატორზე, რომელიც იყენებს ტრადიციულ მეთოდებს;
- სურსათის/ცხოველის საკვების არაქარხნული წესით წარმოებაზე, გადამუშავებასა ან/და დისტრიბუციაზე, რომელიც ხორციელდება მაღალმთიან რეგიონში;
- იმ ბიზნეს ოპერატორზე, რომელიც ჟელატინისა და კოლაგენის წარმოებისათვის გადაამუშავებს ნედლეულს.
დამტკიცებული წესის შესაბამისად, პირველადი წარმოების ჰიგიენური მოთხოვნები და მასთან დაკავშირებული პროცედურები მოიცავს:
- პირველადი პროდუქტების წარმოებას, ადგილზე შენახვასა და ტრანსპორტირებას, რომელთა დროსაც არსებითად არ უნდა შეიცვალოს მათი ძირითადი თვისებები;
- მოთხოვნებს ცოცხალი ცხოველების ტრანსპორტირებისათვის;
- მცენარეული წარმოშობის პროდუქტების, თევზჭერის, ნანადირევისა და მეფუტკრეობის პროდუქტებისათვის წარმოების ადგილიდან გადამამუშავებელ საწარმომდე ტრანსპორტირების პირობებს, რომლის დროსაც არ უნდა შეიცვალოს მათი ძირითადი თვისებები.
შესაბამისი ბიზნეს ოპერატორები ვალდებული არიან განახორციელონ საფრთხეების კონტროლის ღონისძიებები და გარკვეული პერიოდულობით აწარმოონ და შეინახონ საფრთხეების გაკონტროლებასთან დაკავშირებით განხორციელებულ ღონისძიებათა ჩანაწერები. მოთხოვნის შემთხვევაში, უნდა მიაწოდონ ასეთ ჩანაწერებში არსებული ინფორმაცია სურსათის უვნებლობის სააგენტოსა და პირველადი პროდუქტის მიმღებ ბიზნეს ოპერატორს.
დირექტივა აწესებს გარკვეულ მოთხოვნებს საწარმოს ტერიტორიისადმი, საწარმოს შენობის მიმართ (მათ შორის მოძრავი და დროებითი შენობების მიმართ), სათავსოების მიმართ, წყალმომარაგების და კანალიზაციის მიმართ, აღჭურვილობისა

და მოწყობილობებისადმი, სურსათის/ცხოველის საკვების მიმართ, სურსათის/ცხოველის საკვების შეფუთვისა და დაფასოებისათვის, სურსათის/ცხოველის საკვების ტრანსპორტირებისადმი, პერსონალის პირადი ჰიგიენის, ჯანმრთელობის მდგომარეობის და სწავლების მიმართ, ასევე, თერმული დამუშავების, ნარჩენების მართვის და დეზინფექციის მოთხოვნებს.

დადგენილება ამტკიცებს ტექნიკური რეგლამენტს – სურსათის/ცხოველის საკვების ჰიგიენის გამარტივებული წესი.

Regulation (EC) No 853/2004 - ჰიგიენის სპეციფიკური წესები ცხოველური წარმოშობის პროდუქტისათვის - დამტკიცებულია 2012 წელს. კიდევ უფრო მეტად დაახლოების მიზნით, მომზადებულია პროექტი, რომელიც მთავრობაში ჯერ კიდევ განხილვის პროცესშია. რაც შეეხება, 2012 წელს დამტკიცებულ დადგენილებას, ის დამტკიცდა 2012 წლის 7 მარტს (ცხოველური წარმოშობის სურსათის ჰიგიენის სპეციალური წესის შესახებ).

ცხოველური წარმოშობის სურსათის ჰიგიენის სპეციალური წესი ადგენს სპეციალურ ჰიგიენურ მოთხოვნებს ბიზნეს ოპერატორისათვის, რომელიც ეწევა ცხოველური წარმოშობის სურსათის წარმოებას, გადამუშავებასა და დისტრიბუციას. ბიზნეს ოპერატორის მიერ შესაძლებელია გამოყენებულ იქნეს წესისაგან განსხვავებული პირობები იმ შემთხვევაში, თუ ბიზნეს ოპერატორი დაუსაბუთებს ინსპექტირებაზე უფლებამოსილ პირს, რომ განსხვავებული პირობების მეშვეობით ცხოველური წარმოშობის სურსათის სპეციალურ ჰიგიენურ მოთხოვნებთან შესაბამისობა უზრუნველყოფილია.

ამ წესით დადგენილი მოთხოვნების შესრულება სავალდებულოა საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად ბიზნეს ოპერატორად რეგისტრირებული პირისათვის, რომელიც ახორციელებს ცხოველური წარმოშობის სურსათის წარმოებას, გადამუშავებას ან/და დისტრიბუციას. ეს წესი არ ვრცელდება:

- ოჯახური წარმოების სუბიექტზე;
- იმ ბიზნეს ოპერატორზე, რომელსაც „სურსათის/ცხოველის საკვების უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კოდექსის შესაბამისად აქვს მცირე ბიზნესის სტატუსი;
- იმ ბიზნეს ოპერატორზე, რომელიც ეწევა ცხოველური წარმოშობის სურსათის წარმოებას, გადამუშავებას ან/და დისტრიბუციას, პირველად წარმოებას ტრადიციული მეთოდების გამოყენებით;
- იმ ბიზნეს ოპერატორზე, რომელიც მაღალმთიან რეგიონში არაქარხნული წესით ეწევა ცხოველური წარმოშობის სურსათის წარმოებას, გადამუშავებას ან/და დისტრიბუციას, ასევე პირველად წარმოებას;
- საცალო ვაჭრობის პუნქტზე, გარდა იმ საცალო ვაჭრობის პუნქტებისა, სადაც ხორციელდება თევზჭერის შედეგად მოპოვებული პროდუქტის რეალიზაცია საბოლოო მომხმარებლისათვის მიწოდების მიზნით;
- იმ ბიზნეს ოპერატორზე, რომელიც ეწევა მცენარეული წარმოშობის სურსათის წარმოებას (მათ შორის, პირველად წარმოებას), გადამუშავებას ან/და დისტრიბუციას;
- სურსათზე, რომელიც მიიღება ამ წესის შესაბამისად მიღებული ცხოველური წარმოშობის პროდუქტების შემდგომი გადამუშავების შედეგად.

წესი განსაზღვრავს ბიზნეს ოპერატორის ზოგად ვალდებულებებს, ჯანმრთელობის ნიშანდების და საიდენტიფიკაციო ნიშნის მოთხოვნებს, მიკვლევადობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებს, ასევე HACCP-ის სისტემის დანერგვის ვალდებულებას იმ ბიზნეს ოპერატორებისთვის, რომლებიც წარმოადგენენ სასაკლაოს ან ახორციელებენ ნედლი რძის თერმულ დამუშავებას.

წესში ასევე საუბარია შინაური ჩლიქოსანი ცხოველის ხორცის მიმართ ჰიგიენის სპეციალური მოთხოვნებზე, სასაკლაოების და სასაკლაოების პროცესების მიმართ მოთხოვნებზე, ასევე ხორცის შენახვა და ტრანსპორტირების მოთხოვნებზე.

წესში ასევე ცალკეა გამოყოფილი ჰიგიენის სპეციალური მოთხოვნები ფრინველისა და ბოცვრისნაირების მიმართ, გატარებული ხორცის, დამზადებული ხორცისა და მექანიკურად განცალკევებული ხორცის მიმართ, ცოცხალი მოლუსკების მიმართ,

თევზჭერის პროდუქტების მიმართ, ნედლი რძისა და რძის პროდუქტების მიმართ, კვერცხისა და კვერცხის პროდუქტების მიმართ, ბაყაყის კიდურებისა და ლოკოკინების დამზადების პროცესის მიმართ, ცხოველის გადამდნარი ცხიმისა და ხიწიწის მიმართ, დამუშავებული კუჭის, შარდის ბუშტისა და ნაწლავების მიმართ.
დამტკიცებული წესი ასევე აწესებს ყველა ჩამოთვლილი პროდუქციის შენახვა, შეფუთვა, ტრანსპორტირების და ეტიკეტირების მოთხოვნებს.
No 854/2004 ადამიანის მოხმარებისთვის განკუთვნილი ცხოველური წარმოშობის სურსათის ოფიციალური კონტროლის ორგანიზების კონკრეტული წესები.
საქართველოს მთავრობის 2015 წლის 12 თებერვლის N55 დადგენილებით დამტკიცებულია ცხოველური წარმოშობის სურსათის სახელმწიფო კონტროლის განხორციელების სპეციალური წესი, რომელიც ადგენს ცხოველური წარმოშობის სურსათის სახელმწიფო კონტროლის ორგანიზებისა და განხორციელების წესს. წესი ვრცელდება სახელმწიფო კონტროლს დაქვემდებარებულ ცხოველური წარმოშობის სურსათის წარმოებასა და გადამუშავებაზე, ასევე ნანადირევზე, რომელიც ხორციელდება საქართველოს ტერიტორიაზე, კერძოდ:

- სასაკლაოზე და სასაკლაოს გარეთ გადაუდებელ დაკვლაზე, გარეული ცხოველების მოშენების წარმოების ადგილზე. იმ საწარმოებზე, სადაც ხორციელდება ხორცის დანაწილება, დანაწევრება, ნაჭრებად დაჭრა, ძვლის გამოცლა;
- ცოცხალი ორსადგულიანი მოლუსკების და თევზჭერის პროდუქტების წარმოება/გადამუშავებაზე;
- ნედლი რძის წარმოებაზე, ნედლი რძის შემკრებ პუნქტამდე.

წესის შესაბამისად, ბიზნეს ოპერატორმა უნდა ითანამშრომლოს სახელმწიფო ვეტერინართან და უზრუნველყოს სახელმწიფო ვეტერინარის დაშვება საწარმოს ტერიტორიაზე, ყველა შენობა-ნაგებობაში, სათავსოში, მოწყობილობასა და აღჭურვილობასთან; და ნებისმიერი დოკუმენტისა და ჩანაწერის ხელმისაწვდომობა ამ წესით დადგენილი სახელმწიფო კონტროლის სრულყოფილად განხორციელებისათვის.
ამ წესით განსაზღვრული მთელი რიგი მოთხოვნები ძალაში შედის 2020 წლის 1 იანვრიდან.
Regulation (EC) No 1881/2006 - საკვებ პროდუქტებში კონკრეტული დამაბინძურებლების ზღვრულად დასაშვები დონეები და **Regulation (EEC) No 315/93** - პროცედურები სურსათში დამაბინძურებლების არსებობისას - დამტკიცებულია 2015 წლის 9 ნოემბრის N 567 დადგენილებით „სურსათში ზოგიერთი დამაბინძურებლის (კონტამინანტის) მაქსიმალურად დასაშვები ზღვრის შესახებ ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე“, რაც მიზნად ისახავს ადამიანის სიცოცხლისა და ჯანმრთელობის, ასევე მომხმარებელთა ინტერესების დაცვას სურსათთან დაკავშირებულ ქიმიურ რისკებთან მიმართებაში. ტექნიკური რეგლამენტი ადგენს სხვადასხვა დასახელების სურსათისათვის დამაბინძურებლების (კონტამინანტების) მაქსიმალურად დასაშვებ ზღვარს და დაბინძურებული სურსათის გამოყენებასთან დაკავშირებულ შეზღუდვებს.
ტექნიკური რეგლამენტით განსაზღვრული მოთხოვნები ვრცელდება მცენარეულ და ცხოველურ პროდუქტზე, ან მათ ნაწილებზე, რომელიც გამოიყენება როგორც გადაუმუშავებელი, ასევე გადამუშავებული სახით ან, როგორც შერეული სურსათი. ტექნიკური რეგლამენტით განსაზღვრული მოთხოვნები არ ვრცელდება პროდუქტზე, რომლის მიმართ დადასტურებულია, რომ მისი გამოყენება ხდება სურსათის და ცხოველის საკვების გარდა, სხვა პროდუქტის წარმოებისათვის; ან/და დასათესად ან გასამრავლებლად.

სურსათში ზოგიერთი დამაბინძურებლის (კონტამინანტის) მაქსიმალურად დასაშვები ზღვრის სახელმწიფო კონტროლს საქართველოს ტერიტორიაზე ახორციელებს სურსათის ეროვნული სააგენტო, ხოლო საქართველოს საბაჟო საზღვარზე გადაადგილებისას შემოსავლების სამსახური.

მოსახლეობის ჯანმრთელობისა და სიცოცხლის დაცვის უზრუნველყოფისათვის, სურსათი დამაბინძურებლებს (კონტამინანტებს) უნდა შეიცავდეს ტოქსიკოლოგიური თვალსაზრისით მისაღებ (დასაშვებ) დონეზე. ბიზნეს ოპერატორი ვალდებულია გაატაროს შესაბამისი ღონისძიებები სურსათის დაბინძურების შემცირების ან/და თავიდან

აცილებისათვის. სურსათი, რომელიც დამაბინძურებლებს (კონტამინანტებს) შეიცავს ამ ტექნიკური რეგლამენტის სურსათში ზოგიერთი დამაბინძურებლის (კონტამინანტის) დასაშვები მაქსიმალური ზღვარით განსაზღვრულ დასაშვებ მაქსიმალურ ზღვარზე მეტი ოდენობით, არ უნდა იქნეს განთავსებული ბაზარზე უშუალოდ მოხმარებისათვის, სხვა სურსათთან შერეული, არ უნდა იქნეს გამოყენებული, როგორც სურსათის შემადგენელი ინგრედიენტი.

რეგლამენტის დანართში მოცემულია სურსათში ზოგიერთი დამაბინძურებლის (კონტამინანტის) დასაშვები მაქსიმალური ზღვარი სურსათის სახეობების მიხედვით.

Regulation (EC) No 1760/2000 - მსხვილფეხა საქონლის იდენტიფიცირება რეგისტრაციის სისტემა და ხორცისა და ხორცის პროდუქტების ეტიკეტირება - დამტკიცებულია მთავრობის 2016 წლის 9 მარტის N 118 დადგენილებით „ტექნიკური რეგლამენტის – საქონლის ხორცისა და საქონლის ხორცის პროდუქტების ეტიკეტირების წესის დამტკიცების შესახებ“. დადგენილება ძალაში შედის 2017 წლის 1 იანვრიდან.

ტექნიკური რეგლამენტი განსაზღვრავს ბაზარზე განთავსებული საქონლის ხორცისა და საქონლის ხორცის პროდუქტების წარმოების, გადამუშავებისა და დისტრიბუციის ეტაპებზე სავალდებულო ეტიკეტირებასთან დაკავშირებულ ურთიერთობებსა და ბიზნეს ოპერატორის ვალდებულებებს. ტექნიკური რეგლამენტის მიზანია ადამიანის სიცოცხლის, ჯანმრთელობისა და მომხმარებელთა ეკონომიკური ინტერესების დაცვა და საქონლის ხორცისა და საქონლის ხორცის პროდუქტების წარმოების, გადამუშავების, დისტრიბუციის ეტაპებზე ეტიკეტირების ერთიანი პრინციპების განსაზღვრა.

ტექნიკური რეგლამენტი ვრცელდება სახელმწიფო კონტროლს დაქვემდებარებულ საქონლის ხორცსა და ხორცის პროდუქტებზე. სახელმწიფო კონტროლს ახროციელებს სურსათის ეროვნული სააგენტო.

ეტიკეტირება განმარტებულია, როგორც ეტიკეტის მიმაგრება უშუალოდ ხორცის ცალკეულ ნაჭერზე ან ნაჭრებზე ან მათ შესაფუთ მასალაზე, ან შეუფუთავი ხორცის შემთხვევაში – რეალიზაციის (გაყიდვის) პუნქტში მომხმარებლისათვის სათანადო ინფორმაციის მიწოდება წერილობითი ან სხვა თვალსაჩინო, ადვილად აღსაქმელი ფორმით.

ბიზნეს ოპერატორი ვალდებულია, წარმოების, გადამუშავებისა და დისტრიბუციის ეტაპებზე ხორცისა და ხორცის პროდუქტის ეტიკეტირება განახორციელოს ამ ტექნიკური რეგლამენტის შესაბამისად.

ხორცის ეტიკეტზე განთავსებული უნდა იქნეს შემდეგი ინფორმაცია:

- საცნობარო ნომერი ან საცნობარო კოდი, რომელიც ენიჭება ცხოველს ან ცხოველთა ჯგუფს სასაკლაოზე შესვლისას ბიზნეს ოპერატორის მიერ, რაც უზრუნველყოფს კავშირის დადგენას ხორცსა და ცხოველებს შორის. ეს შესაძლებელია იყოს ცალკეული ცხოველის საყურე ნიშანზე განთავსებული საიდენტიფიკაციო ნომერი, ან ბიზნეს ოპერატორის მიერ სასაკლაოზე ცხოველთა ჯგუფისათვის მინიჭებული ნომერი, რომლისგანაც მიღებულია ხორცი;
- სასაკლაოს აღიარების ან პირობითი აღიარების ნომერი, სადაც დაიკლა ცხოველი ან ცხოველთა ჯგუფი, იმ ქვეყნის მითითებით, სადაც მდებარეობს სასაკლაო;
- თუ ხორცის დაჭრა არ ხორციელდება იმ სასაკლაოზე, სადაც დაიკლა ცხოველი, ცხოველთა ჯგუფი, მაშინ ეტიკეტზე უნდა განთავსდეს იმ ბიზნეს ოპერატორის აღიარების ან პირობითი აღიარების ნომერი, სადაც განხორციელდა ცხოველის, ცხოველთა ჯგუფის ტანხორცის ან ტანხორცის ჯგუფის დაჭრა;
- თუ ხორცი მიღებულია იმ ცხოველისაგან ან ცხოველთა ჯგუფისაგან, რომელიც დაიბადა, გაიზარდა და დაიკლა საქართველოში („წარმოშობა – საქართველო“), მითითებულ უნდა იქნეს სასაკლაოზე ცოცხალი ცხოველის მიმყვანი პირის პირადი ნომერი, იმ შემთხვევაში, თუ ხორცი მიღებულია არაიდენტიფიცირებული ცხოველისაგან, რომელსაც არ გააჩნია საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული საყურე ნიშანი;
- თუ ცხოველის დაბადების, მოშენების, სუქებისა და დაკვლის ადგილი განსხვავდება ერთმანეთისგან, ეტიკეტზე მიეთითება ინფორმაცია თითოეული მათგანის შესახებ.

Regulation (EC) No 396/2005 - მცენარეული და ცხოველური წარმოშობის სურსათში და ცხოველის საკვებში პესტიციდების ნარჩენების ზღვრულად დასაშვები დონე

- დამტკიცებულია საქართველოს მთავრობის 2016 წლის 29 დეკემბრის N 623 დადგენილებით „მცენარეული და ცხოველური წარმოშობის სურსათ(ზე)ში/ცხოველის საკვებ(ზე)ში პესტიციდების ნარჩენების მაქსიმალური დონის შესახებ ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე“. დადგენილება ამოქმედდება 2020 წლის 1 იანვრიდან.

ევროკავშირის ტერიტორიაზე, ადამიანის და ცხოველის ჯანმრთელობის დასაცავად, ყველა ტიპის სურსათსა და ცხოველის საკვებზე დადგენილია პესტიციდების ნარჩენების ზღვრული დასაშვები დონე.

რეგულაცია ადგენს მცენარეული და ცხოველური წარმოშობის სურსათში და ცხოველის საკვებში პესტიციდების ნარჩენების ზღვრულად დასაშვებ დონეს. დეტალური ინფორმაცია მაქსიმალური ნარჩენების დონის შესახებ დამტკიცებულია ევროკომისიის მიერ და თითოეული ტიპის საკვებისთვის მოცემულია მონაცემთა ბაზაში - http://ec.europa.eu/food/plant/pesticides/eu-pesticides-database/public/?event=pesticide.residue.selection&language=EN

კანონი არეგულირებს ყველა ტიპის პროდუქტს, რომელიც განკუთვნილია ადამიანის ან ცხოველის საკვებად.

შემდეგი სახის პროდუქტები არ ექვემდებარება ამ კანონით გათვალისწინებულ შეზღდუვებს:

- თუ განკუთვნილია დასათესად;
- არასასურსათო პროდუქტის საწარმოებლად;
- ექსპორტისთვის მესამე ქვეყნებში;

გამონაკლისი შემთხვევები:

რიგ შემთხვევაში, ავტორიზაცია შეიძლება გაიაროს ისეთი ტიპის საკვებმაც, რომლის პესტიციდების ნარჩენები აღემატება ზღვრულ მაჩვენებელს:

- თუ პროდუქცია არ არის განკუთვნილი უშუალო მოხმარებისთვის;
- უზრუნველყოფილია შესაბამისი საკონტროლო მექანიზმები, რათა პროდუქტები არ იყოს ხელმისაწვდომი მომხმარებლისთვის;
- ევროკავშირის სხვა ქვეყნები და ევროკომისია არის ინფორმირებული საჭირო ზომების შესახებ.

Regulation (EU) No 1169/2011 - სურსათთან დაკავშირებული ინფორმაციის მიწოდება მომხმარებლისთვის - დამტკიცდა საქართველოს მთავრობის 2016 წლის 1 ივლისის N 301 დადგენილებით „ტექნიკური რეგლამენტის - მომხმარებლისათვის სურსათის შესახებ ინფორმაციის მიწოდების თაობაზე დამტკიცების შესახებ“. დადგენილება ამოქმედდება 2018 წლის 1 იანვრიდან.

რეგულაცია უფლებას ანიჭებს მომხმარებლებს, რათა მათ გარანტირებულად მიეწოდოთ ინფორმაცია მათ მიერ მოხმარებული სურსათის შესახებ. ამ მიზნით, რეგულაცია ადგენს ზოგად პრინციპებს, მოთხოვნებს და ვალდებულებებს სურსათის ეტიკეტირებასთან დაკავშირებით. რეგულაციის ძირითადი პრინციპებია:

- რეგულაცია ეხება ყველა ბიზნესს, სასურსათო ჯაჭვის ყველა ეტაპზე და ყველა ტიპის სურსათს, რომელიც განკუთვნილია საბოლოო მოხმარებისთვის. აღნიშნული მოიცავს, ყველა ტიპის სურსათს, მათ შორის საბითუმო მომწოდებლებისთვის მიწოდებულ სურსათს;
- ინფორმაციის მიწოდებაზე და მის სისწორეზე პასუხისმგებელია მწარმოებელი, ვისი სახელითაც იწარმოება სურსათი. იმ შემთხვევაში, თუ წარმოება ევროკავშირის საზღვრებს გარეთ ხდება, პასუხისმგებლობა ეკისრება იმპორტიორს;
- სავალდებულოა შემდეგი სახის ინფორმაცია: სურსათის დასახელება, ინგრედიენტების ჩამონათვალი, ნეტო მასა, ვადიანობა, საჭიროების შემთხვევაში გამოყენების ინსტრუქცია, მწარმოებლის სახელი, მისამართი და ნუტრიციის დეკლარაცია;
- სურსათის დისტანციურად გაყიდვის შემთხვევაში, მსგავსი ტიპის ინფორმაცია უნდა იყოს ხელმისაწვდომი მომხმარებლისთვის დამატებითი დანახარჯის გარეშე;
- ყველა ტიპის სასმელზე მითითებული უნდა იყოს ალკოჰოლის რეალური შემცველობა, რომელშიც ალკოჰოლის შემცველობა აღემატება 1,2%-ს;

- დამატებით სავალდებულო ინფორმაცია უნდა იყოს მითითებული გარკვეული ტიპის სურსათზე, მაგალითად ისეთზე, რომელიც შეიცავს დამატკბობელს, ამონიუმის მარილს და კოფეინის მაღალ შემცველობას;
- სურსათის ნეტო მოცულობა უნდა იყოს გამოხატული ლიტრებში, მილილიტრებში, კილოგრამებსა და გრამებში;
- გარკვეული ტიპის სურსათი თავისუფლდება ნუტრიციის შესახებ დეკლარაციისგან, მაგალითად მწვანილი, სუნელი, არომატიზატორი, ბალახის ჩაი;
- ისეთი ტიპის სურსათის შემთხვევაში, როგორიცაა ხილი და ბოსტნეული, მინერალური წყალი, ძმარი, რძის პროდუქტები, როგორიცაა ყველი, კარაქი, ნაღები და ფერმენტირებული რძე, სავალდებულო არ არის ინგრედიენტების მითითება;
- წარმოდგენილ ინფორმაციას საზოგადოება შეცდომაში არ უნდა შეყავდეს, მაგალითად, არ უნდა იყოს მითითებული ისეთი ტიპის განსაკუთრებული მახასიათებლები, ან ეფექტები, რომელიც სურსათს არ აქვს. ინფორმაცია უნდა იყოს ზუსტი და მარტივად აღსაქმელი.

Regulation (EC) No 1333/2008 - საკვებ დანამატები - დამტკიცდა 2016 წლის 23 დეკემბრის N 585 დადგენილებით „საკვებდანამატების შესახებ ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე“. დადგენილება ძალაში შედის 2019 წლის 1 იანვრიდან.

რეგულაცია ადგენს დაშვებული საკვებ დანამატების სიას, მათი გამოყენების პირობებს და ეტიკეტირების წესებს. დაშვებულია მხოლოდ ევროკავშირის მიერ დამტკიცებული საკვებ დანამატების გაყიდვა და გამოყენება სურსათში. იმისთვის, რომ ევროკავშირის მიერ დამტკიცებულ სიაში იყოს, საკვებდანამატი არ უნდა აყენებდეს ზიანს მომხმარებლის ჯანმრთელობას და არ უნდა შეყავდეს მომხმარებელი შეცდომაში. საკვებ დანამატი უნდა იყოს სასარგებლო მომხმარებლისთვის, კერძოდ;

- უნდა უნარჩუნებდეს სურსათის ხარისხს;
- ხელს უნდა უწყობდეს სურსათის წარმოებას, გადამუშავებას, მომზადებას, შეფუთვას, ტრანსპორტირებას და შენახვას;
- უნდა აკმაყოფილებდეს გარკვეულ დიეტურ საჭიროებებს.

განსაკუთრებული ტიპის მოთხოვნები ვრცელდება საკვებ დანამატებზე, რომლებიც გამოიყენება როგორც დამატკბობელი ან ფერის მიმცემი. გამოყენებული უნდა იყოს საკვებ დანამატის მინიმალური დოზა, სასურველი ეფექტის მისაღწევად. ეს დოზა უნდა აკმაყოფილებდეს დღიურად მისაღებ დოზას და განსაკუთრებული საჭიროებების მქონე მომხმარებელთა ჯგუფებს.

საკვებ დანამატების გამოყენება იკრძალება გადაუმუშავებელ სურსათში, ჩვილთა, ბავშვთა და მოზარდთა კვებაში, გარდა განსაკუთრებულად გათვალისწინებული შემთხვევებისა. უნდა მოხდეს საკვებდანამატების ზუსტი ეტიკეტირება, სახელის მითითებით, მაგალითად, E110.

რეგულაცია არ ეხება შემდეგი სახის ნივთიერებებს:

- გადამამუშავებელი საშუალებები, მაგალითად, ნივთიერება რომელიც შეგნებულად გამოიყენება ნედლეულის დასამუშავებლად;
- მცენარეთა დაცვის საშუალებები
- სურსათში დამატებული საკვები ნივთიერებები
- წყალი.

Regulation (EC) No 2023/2006 - საკვებთან შეხებაში მყოფი მასალებისა და ნივთების კარგი საწარმოო პრაქტიკა - უნდა დამტკიცდეს 2019 წელს. რეგულაცია აწესებს საკვებთან შეხებაში მყოფი მასალებისა და ნივთების კარგი საწარმოო პრაქტიკის პრინციპებს. რეგულაცია ეხება ყველა სექტორს, წარმოების ყველა ეტაპზე, გადამამუშავებელ და სადისტრიბუციო მასალებსა და ნივთებს. რეგულაციის შესაბამისად, ბიზნეს ოპერატორი უნდა:

- შეესაბამებოდეს კარგ საწარმოო პრაქტიკას;
- შექმნას, დანერგოს და გამოიყენოს ხარისხის უზრუნველყოფის ეფექტური და დოკუმენტირებული სისტემა;
- შექმნას და შეინარჩუნოს ხარისხის უზრუნველყოფის ეფექტური სისტემა;
- შექმნას და აწარმოოს შესაბამისი ჩანაწერი, ქაღალდის ან ელექტრონული

ფორმით, ინდივიდუალური პროდუქტის და წარმოების პროცესების უვნებლობის სპეციფიკაციების შესახებ.
კარგი საწარმოო პრაქტიკა მოიცავს ისეთ საგნებს, როგორიცაა კონტეინერები, შეფუთვა, ქაღალდი, მუყაო, მელანი და წებო, რომელიც შესაძლოა საკვებთან კონტაქტში მოვიდეს.
ხარისხის კონტროლის გარანტი კი მოიცავს თანამშრომელთა ცოდნას და უნარ-ჩვევებს და ორგანიზაციის შენობას და მანქანა-დანადგარებს;
ხარისხის კონტროლის სისტემა მოიცავს:

- კარგი საწარმოო პრაქტიკის მონიტორინგს და განხორციელებას;
- სტანდარტებიდან გადახვევის შემთხვევაში, საჭირო მაკორექტირებელი ზომების მიღებას.

მცენარეთა დაცვა

Commission Directive 92/90/EEC - ვალდებულებები რომლებსაც ექვემდებარება მცენარეების, მცენარეთა პროდუქტების მწარმოებლები და იმპორტიორები, ასევე შესამაბისი ობიექტების და მათ რეგისტრაციასთან დაკავშირებული დეტალები - დამტკიცდა 2016 წლის 29 დეკემბრის N 619 დადგენილებით „მცენარის, მცენარეული პროდუქტისა და სხვა ფიტოსანიტარული რეგულირებადი ობიექტის მწარმოებელ, გადამამუშავებელ ან/და დისტრიბუტორ ბიზნესოპერატორთა ვალდებულებებისა და მათი აღრიცხვის წესის დამტკიცების თაობაზე.“ დადგენილება ამოქმედდება 2018 წლის 1 იანვრიდან.
დირექტივა ავალდებულებს ყველა მწარმოებელს, კოლექტიურ საწყობს, სადისპეჩერო ცენტრს, ან იმპორტიორს, დარეგისტრირდეს შესაბამის მარეგისტირებელ ორგანოში. მარეგისტრირებელმა ორგანომ უნდა მიანიჭოს თითოეულ რეგისტრირებულს უნიკალური კოდი, მათი მარტივად იდენტიფიცირებისთვის. დარეგისტრირებისთვის, აუცილებელია ბიზნეს ოპერატორი აკმაყოფილებდეს შემდეგ მოთხოვნებს:

- აწარმოოს შენობის განახლებადი გეგმა, სადაც ხდება მცენარეების, მცენარეთა პროდუქტების და სხვა ობიექტების მოყვანა, წარმოება, შენახვა ან სხვა მწარმოებლის, კოლექტიური საწყობის ან სადისპეჩერო ცენტრების, ან იმპორტიორის მიერ გამოყენება;
- აწარმოოს ჩანაწერები და ჰქონდეს სრულყოფილი ინფორმაცია, მარეგისტრირებელი ორგანოსთვის წარსადგენად, მცენარეების და მცენარეთა პროდუქტების შესახებ, კერძოდ: (1) შესყიდული შესანახად, ან (2) მოსაყვნად, (3) წარმოებაში მყოფი, (4) მიწოდებული სხვისთვის.

შესაბამისი დოკუმენტაცია უნდა იყოს შენახული მინიმუმ ერთი წლის განმავლობაში.
სავალდებულოა გამოყოფილი იყოს პასუხისმგებელი პირი, რომელიც ანგარიშვალდებული იქნება შესაბამისი სახელმწიფო უწყების წინაშე. ამ პირმა, საჭიროებისამებრ, უნდა აწარმოოს დაკვირვება, სახელმწიფო უწყების მიერ მოცემული ინსტრუქციების შესაბამისად. სახელმწიფო უწყების წარმომადგენელს უნდა ჰქონდეს საშუალება აწარმოოს ინსპექტირება, ნიმუშების აღება, ზემოხსენებული დოკუმენტაციის გამოთხოვა. მსგავსი ტიპის შემოწმება უნდა ჩატარდეს მინიმუმ წელიწადში ერთხელ.
Council Directive 2002/55/EC - ბოსტნეულის თესლით ვაჭრობა - უნდა დამტკიცდეს 2019 წელს.
დირექტივა ეხება ევროკავშირის ქვეყნებს შორის ბოსტნეულის თესლით ვაჭრობის პრაქტიკას. დირექტივა არ ეხება იმ შემთხვევებს, როდესაც ხდება თესლის ექსპორტირება მესამე ქვეყანაში.
დირექტივის მიზნებისთვის, „ბოსტნეული“ ნიშნავს - ხახვი, პრასი, ნიახური, ჭყიმი, ისპანახი, სატაცური, ჭარხალი, კომბოსტო, ყვავილოვანი კომბოსტო, ბროკოლი, ბრიუსელის კომბოსტო, კეჭერა კომბოსტო, წიწაკა, საზამთრო, კიტრი, ყაბაყი, სტაფილო, ბოლოკი, კამა, სალათის ფურცელი, პომიდორი, ოხრახუში, მწვანე ლობიო, ბარდა, ბადრიჯანი.
დირექტივის მიხედვით, ვერ მოხდება თესლის სერტიფიცირება, სტანდარტულ თესლად ვერიფიკაცია, ან გაყიდვა, თუ თესლი არ არის აღიარებული ევროკავშირის რომელიმე წევრი ქვეყნის მიერ.
თითოეული წევრი ქვეყანა ადგენს თესლების კატალოგს და განასხვავებს

სერტიფიცირებისთვის დამტკიცებულ სახეობას, სტანდარტულ თესლს და მის ტერიტორიაზე სავაჭროდ დაშვებულ თესლს. კატალოგში თესლი დაყოფილია ჯიშების მიხედვით და მიიღება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ დაყოფა არის მკაფიო. იმ შემთხვევაში, თუ თესლი გენმოდიფიცირებულია, მისი კატალოგში შეყვანა შესაძლებელია, მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მიღებულია შესაბამისი ზომები მისი ზიანის მინიმიზაციისთვის გარემოსა და ადამიანის ჯანმრთელობაზე. დირექტივაში მოცემულია დანართები, რომლებიც (1) ადგენს სერტიფიცირების წესებს; (2) ადგენს თესლის მიერ დასაკმაყოფილებელ მოთხოვნებს; (3) ეხება თესლის ეტიკეტირებას.

ვეტერინარია

Council Regulation (EC) No 21/2004, Regulation (EC) No 1782/2003, Directives 92/102/EEC and 64/432/EEC - წვრილფეხა საქონლის (ცხვრებისა და თხების) იდენტიფიკაცია რეგისტრაციის სისტემა და **Regulation (EC) No 1760/2000, Regulation (EC) No 820/97** - მსხვილფეხა საქონლის იდენტიფიკაცია-რეგისტრაციის სისტემის ჩამოყალიბების და საქონლის ხორცისა და მისი პროდუქტების ეტიკეტირების წესები.

ამ დირექტივების მოთხოვნები დამტკიცებულია საქართველოს მთავრობის შესაბამისი დადგენილებებით, 2014 წლის 31 დეკემბერის N 764 დადგენილება „მსხვილფეხა საქონლის იდენტიფიკაცია-რეგისტრაციისა და მათი სადგომის/დროებითი სადგომის რეგისტრაციის წესის დამტკიცების შესახებ“ და 2015 წლის 27 მაისის N228 დადგენილება „წვრილფეხა საქონლის იდენტიფიკაცია-რეგისტრაციისა და მათი სადგომის/დროებითი სადგომის რეგისტრაციის წესის დამტკიცების შესახებ“. ორივე დირექტივა ძალაშია გარკვეული გამონაკლისებით.

დადგენილებები არეგულირებს როგორც მსხვილფეხა, ასევე წვრილფეხა პირუტყვის იდენტიფიკაციის (მათ შორის იმპორტირებული წვრილფეხა და მსხვილფეხა საქონლის იდენტიფიკაცია),რეგისტრაციისდამათისადგომების(მათშორისდროებითისადგომების) რეგისტრაციის წესებს, პირობებს, მოთხოვნებს და შემზღუდავ ღონისძიებებს.

საქონლის იდენტიფიკაცია-რეგისტრაციის და მათი სადგომის/დროებითი სადგომის რეგისტრაციის მიზნებია:

- საქონლის და მათი სადგომის/დროებითი სადგომის შესახებ, ერთიანი საინფორმაციო ბაზის შექმნა და აღრიცხვიანობის რეგულირება;
- საქონლის და მათი სადგომის/დროებითი სადგომის შესახებ, სრული ინფორმაციის ფლობა და ინდივიდუალური მიკვლევადობა;
- საქონლის ჯანმრთელობის დაცვა, ეპიდემიოლოგიური მდგომარეობის მართვა და ვეტერინარული კეთილსაიმედოობის უზრუნველყოფა;
- საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვა და მომხმარებლისათვის სარწმუნო ინფორმაციის მიწოდება, ცხოველური პროდუქტის წარმოშობისა და უვნებლობის შესახებ;
- ქვეყნის შიგნით, საქონლის გადაადგილებასა და ექსპორტ-იმპორტზე ვეტერინარული კონტროლის განხორციელება;
- ეტიკეტირების უზრუნველყოფა ხორცით ვაჭრობისას;
- გამჭირვალობისა და მიკვლევადობის უზრუნველყოფა ცხოველური წარმოშობის სურსათისა და არასასურსათო დანიშნულების ცხოველური პროდუქტით ვაჭრობისას;
- მეცხოველეობაში სანაშენე საქმიანობის გაუმჯობესება-სრულყოფა.

მსხვილფეხა საქონლის იდენტიფიკაცია-რეგისტრაციის ელემენტებია: ნიშანდება, მონაცემთა ელექტრონული ბაზა, მსხვილფეხა საქონლის პასპორტიზაცია და თითოეული სადგომის/დროებითი სადგომის რეგისტრაცია და სადგომის/დროებითი სადგომის წიგნაკის წარმოება.

ხოლო წვრიფეხა საქონლის იდენტიფიკაცია-რეგისტრაციის ელემენტებია: ნიშანდება, თითოეული სადგომის/დროებითი სადგომის რეგისტრაცია და სადგომის წიგნაკის წარმოება, გადაადგილების დოკუმენტის წარმოება (ძალაში უნდა შევიდეს 2018 წლის 1 იანვრამდე) და მონაცემთა ელექტრონული ბაზის წარმოება.

სახელმწიფო კონტროლს ახორციელებს სურსათის ეროვნული სააგენტო, რომელმაც ყოველწიურად უნდა განახორციელოს საქონლის სადგომის ან დროებითი სადგომის საერთო რაოდენობის არანაკლებ 1% და წვრილფეხა საქონლის საერთო რაოდენობის

არანაკლებ 1.5%-ის სახელმწიფო კონტროლი და სადგომში ან დროებით სადგომში არსებული ყველა მსხვილფეხა საქონლის იდენტიფიკაცია.
დადგენილებებით განსაზღვრულია როგორც საქონლის მფლობელის ვალდებულებები, ასევე სასაკლაოს მფლობელის ვალდებულებები. მაგალითად, 2018 წლის 1 იანვრიდან აკრძალულია არაიდენტიფიცირებული წვრილფეხა და მსხვილფეხა საქონლის დაკვლა. Council Directive 2008/71/EC - ადგენს ღორების იდენტიფიკაცია-რეგისტრაციასთან დაკავშირებულ მოთხოვნებს. დამტკიცებულია 2016 წელს საქართველოს, მთავრობის დადგენილება №548-ით „ღორის იდენტიფიკაცია-რეგისტრაციისა და მისი სადგომის რეგისტრაციის წესის დამტკიცების შესახებ“.
დირექტივის შესაბამისად, ღორების მფლობელებმა უნდა მოახდინონ მათ საკუთრებაში არსებული ღორების რეგისტრაცია. მფლობელებმა უნდა მოახდინონ შესაბამისი ჩანაწერების წარმოება, ხოლო ვაჭრობით დაკავებულმა პირებმა უნდა აწარმოონ ჩანაწერები ყველა გარიგების შესახებ. სახელმწიფო კონტროლის განმახორციელებელ ორგანოს უნდა ჰქონდეს წვდომა ამ ჩანაწერებთან.
იმისთვის, რომ უზრუნველყოფილი იყოს მიკვლევადობა, უნდა განხორციელდეს ყველა ღორის იდენტიფიცირება, სპეციალური საიდენტიფიკაციო კოდის მინიჭებით. რეგისტრაცია სავალდებულია იმპორტირებული ღორებისთვისაც.
ღორების რეესტრი უნდა აწარმოოს კომპეტენტურმა სახელმწიფო ორგანომ. არსებობს გამონაკლისი, ფიზიკური პირებისთვის, რომელთაც მხოლოდ ერთი ღორი ჰყავთ მხოლოდ საკუთარი მოხმარებისთვის, მათთვის სავალდებულო არ არის რეგისტრაციის გავლა.
Regulation (EC) No 616/2009, Directive 2005/94/EC - შინაური ფრინველების საფრინველეების და სხვა ჩაკეტილ სივრცეში მყოფი ფრინველების ადგილების აღიარების წესი ფრინველის გრიპთან დაკავშირებით და დამატებითი ბიოუსაფრთხოების ღონისძიებების შესახებ ასეთ ადგილებზე - უნდა დამტკიცდეს 2018 წელს. რეგულაცია აწესებს საფრინველეების და სხვა ჩაკეტილ სივრცეში მყოფი ფრინველებისთვის, ფრინველის გრიპის გამოვლენის პრევენციულ მექანიზმებს. კერძოდ, რეგულაცია განმარტავს საფრინველეებს და ფრინველთა სხვა ჩაკეტილ სადგომებს და აწესებს ბიოუსაფრთხოების ღონისძიებებს, რომელთაც ფრინველი უნდა დაიცვან ფრინველის გრიპისგან.
სახელმწიფო კონტროლის გამტარებელი უწყება ახდენს საფრინველეების აღიარებას და ახორციელებს მათ სახელმწიფო კონტროლს. რეგულაცია განსაზღვრავს მოთხოვნებს საფრინველეების მიმართ.
Regulation (EC) No 183/2005 - ცხოველთა საკვების ჰიგიენის მოთხოვნები - უნდა დამტკიცდეს 2019 წელს. რეგულაცია აწესებს საკვების ჰიგიენის ძირითად წესებს, მიკვლევადობას და მწარმოებელთა და იმპორტიორთა რეგისტრაციას.
რეგულაცია არეგულირებს საკვების წარმოების ყველა ეტაპს, პირველადი წარმოებიდან, ბაზარზე გატანის ჩათვლით და ვრცელდება საკვების მწარმოებლებზე, იმპროტიორებზე და გამყიდველებზე. რეგულაცია არ ვრცელდება ფიზიკური პირების მიერ საკუთარი მოხმარებისთის საკვების წარმოებაზე.
ბიზნეს ოპერატორმა უნდა უზრუნველყოს საკვების წარმოების და გასაღების ყველა ეტაპის შესაბამისი რეგულირების ქვეშ მოქცევა და ისინი უნდა აკმაყოფილებდნენ ჰიგიენის ყველა მოთხოვნას. გარდა ამისა, მათ დანერგილი უნდა ჰქონდეთ HACCP-ის შესაბამისი პრაქტიკა.

დანართი 1. მოთხოვნები პირველადი მწარმოებლებისთვის

სურსათის/ცხოველის საკვების უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის კოდექსის შესაბამისად, პირველადი წარმოება არის პროცესი, რომელიც მოიცავს: მცენარის მოყვანას (მოსავლის აღების, ნაყოფის კრეფის ჩათვლით); ცხოველის გაზრდას, მოშენებას დაკვლამდე, აგრეთვე რძის წველას. პირველადი წარმოება ასევე მოიცავს ნადირობას, თევზჭერას და ველური მცენარეების შეგროვებას. მაგალითად, პირველადი წარმოებაა სასათბურე და ფერმერული მეურნეობა. ფერმა წარმოადგენს პირველად წარმოებას, ვინაიდან ფერმაში მოაშენებენ და ზრდიან ცხოველებს მათ დაკვლამდე, ხოლო

სათბურში მოჰყავთ ხილი და ბოსტნეული, მაგრამ არ გადაამუშავებენ მას. შესაბამისად, პირველადი პროდუქტი არის პირველადი წარმოების პროცესით მიღებული პროდუქტი. მაგალითად, მოკრეფილი ხილი, შეგროვებული კენკრა, მდინარეში დაჭერილი თევზი, მოშენებული ღორი და ძროხა. ასევე პირველადი პროდუქტი არის პროდუქტი, რომელსაც არ გაუვლია გადამუშავება, რომელიც მნიშვნელოვნად ცვლის პირველად პროდუქტს, მათ შორის, ისეთი სახის გადამუშავების პროცესი, როგორიცაა გაცხელება, შებოლვა, გახმობა, დამწიფება, გამოშრობა, დამარილება, გაწურვა, ექსტრაქცია, ექსტრუზია ან ამ პროცესების კომბინაცია. მაგალითად, ლორი არ წარმოადგენს პირველადი წარმოების პროდუქტს, ვინაიდან მან გაიარა გადამუშავების პროცესი: ღორის დაკვლა, ხორცის შებოლვა და დამარილება. ასევე, ვაშლის ბაღებიდან მოსავლის აღება და რეალიზაცია არის პირველადი წარმოება, ვინაიდან რეალიზაციისას ვაშლის პირველადი სახე არ არის მნიშვნელოვნად შეცვლილი. მაგრამ, თუ ბიზნეს ოპერატორი აწარმოებს ვაშლის ჩირს, მაშინ ეს აღარ ითვლება პირველად წარმოებად, ვინაიდან ჩირის მისაღებად ვაშლის პირველადი სახე მნიშვნელოვნად იცვლება გამოშრობის პროცესის მეშვეობით[7]. მცირემიწიანი ფერმერების აბსოლუტური უმრავლესობა პირველადი მწარმოებელია.

რეგისტრაცია

ნებისმიერი პირი, რომელიც ეწევა სურსათის პირველად წარმოებას მისი რეალიზაციის მიზნით, მათ შორის, ხილის მოყვანას, ცხოველების მოშენებას, თევზჭერას, სატბორე მეურნეობას და რძის შეგროვებას, ვალდებულია დარეგისტრირდეს სურსათის პირველად მწარმოებლად. თუ ფიზიკური პირი პირველად წარმოებას ეწევა არაორგანიზებულად (მაგალითად,საკუთარი ეზოს ხილის მოკრეფა და არასისტემურად ადგილზე რეალიზაცია) ან/და საკუთარი მოხმარების მიზნით, მაშინ მას არ მოეთხოვება სურსათის მწარმოებლად რეგისტრაციის გავლა.

რეგისტრაციისათვის პირმა უნდა მიმართოს საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს თავისი მონაცემების ბაზაში შეტანის მიზნით. თუ პირი უკვე რეგისტრირებულია მეწარმე სუბიექტად, მან უნდა მიმართოს საჯარო რეესტრს და რეგისტრაციის მონაცემებში შეიტანოს ცვლილებები სურსათთან დაკავშირებული საქმიანობის შესახებ. მაგალითად, თუ პირი რეგისტრირებულია როგორც ინდივიდუალური მეწარმე ან შპს, ის უნდა მივიდეს საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში და მიუთითოს:

- საქმიანობის ტიპი (სურსათის წარმოება, დისტრიბუცია ან/და რეალიზაცია)
- პროდუქციის სახეობა (ხორცპროდუქტები, ხილ-ბოსტნეული, წვენი, წყალი და ა.შ.).

გასათვალისწინებელია, რომ ასეთი რეგისტრაციის გარეშე საწარმოს საქმიანობა აკრძალულია და ისჯება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით. საქმიანობის ტიპისა და წარმოებული პროდუქციის სახეობების შესახებ ინფორმაცია მონაცემთა ბაზაში უნდა იყოს ზუსტი და რეალური. აღნიშნულ ინფორმაციას სურსათის ეროვნული სააგენტო (მაკონტროლებელი ორგანო) იყენებს რისკების შესაფასებლად და, შესაბამისად, რაც უფრო ბევრია საქმიანობის ტიპი და წარმოებული პროდუქციის სახეობა, არსებული ინფორმაციის საფუძველზე, რისკის ალბათობა იზრდება და მაკონტროლებელი ორგანო გადაწყვეტილებებს იღებს შესაბამისი მაღალი რისკების გათვალისწინებით.

აღსანიშნავია, რომ მეწარმე, რომელიც ახორციელებს პირველად წარმოებას, არ საჭიროებს მაკონტროლებელი ორგანოს მიერ ბიზნეს ოპერატორად აღიარებას. მაკონტროლებელი ორგანოს მხრიდან აღიარებას არ ექვემდებარება:

ა) ოჯახური წარმოების სუბიექტი ან/და

ბ) ბიზნეს ოპერატორი, რომელიც ახორციელებს პირველად წარმოებას.

ჰიგიენური მოთხოვნები

ზოგად ჰიგიენურ მოთხოვნებს პირველადი მწარმობლებისთვის ადგენს 2004 წლის 29

7. მოთხოვნები პირველადი მწარმოებლებისთვის და სურსათის მწარმოებლებისთვის ცალცალკე მოცემულია დანართებში https://goo.gl/0V1tXu

აპრილის რეგულაცია „**(EC) No 852/2004** საკვები პროდუქტების ჰიგიენის შესახებ“ შესაბამისად, პირველადმა მწარმოებლებმა წარმოების პროცესში უნდა დაიცვან ძირითადი ჰიგიენური მოთხოვნები. გარდა ამისა, არსებობს საქართველოს მთავრობის 2010 წლის 15 ივნისის N173 დადგენილების 1-ლი დანართი - სურსათის/ცხოველის საკვების მწარმოებელი საწარმოს/დისტრიბუტორის ჰიგიენის ზოგადი წესი.

პირველადი წარმოების შემთხვევაში, ბიზნეს ოპერატორებმა შეძლებისდაგვარად უნდა განახორციელონ საფრთხეების კონტროლის ღონისძიებები, მათ შორის, ყველა შესაძლო წყაროდან დაბინძურების კონტროლის ღონისძიებები.

ბიზნეს ოპერატორებმა, რომლებიც ეწევიან მეცხოველეობას, ნადირობას ან აწარმოებენ ცხოველური წარმოშობის პირველად პროდუქტებს, გარემოებიდან გამომდინარე, უნდა განახორციელონ ადეკვატური ღონისძიებები, კერძოდ:

- სუფთა მდგომარეობაში შეინახონ ნებისმიერი მოწყობილობა, რომელიც უშუალო კავშირშია პირველად წარმოებასა და მასთან დაკავშირებულ ოპერაციებთან. მაგალითად, ყველა მოწყობილობა, ჭურჭელი, ყუთი, სადისტრიბუციო და სხვა გადასაზიდი საშუალებები, რომელიც გამოიყენება პირველადი პროდუქტების შენახვისა და გადაზიდვისათვის, უნდა იწმინდებოდეს, ირეცხებოდეს და, საჭიროების შემთხვევაში, ხდებოდეს მათი დეზინფიცირება;
- საჭიროების შემთხვევაში, უზრუნველყონ სასმელი წყლის ან სუფთა წყლის მოხმარება;
- თავიდან აიცილონ მავნებლებისაგან პირველადი პროდუქტის დაბინძურება;
- ისე შეინახონ და გადაზიდონ პირველადი წარმოების ნარჩენები და სახიფათო ნივთიერებები, რომ თავიდან აიცილონ პირველადი წარმოების პროდუქტების დაბინძურება. მაგალითად, ისეთი სახიფათო ნივთიერებები, როგორიცაა სადეზინფექციო საშუალებები, უნდა ინახებოდეს სპეციალურ სათავსოში, რათა მოხდეს მათი სრული იზოლირება პირველადი წარმოების სივრცისა და პროდუქტის შენახვის ადგილისგან;
- თავიდან აიცილონ ქვეყნის ტერიტორიაზე იმ ინფექციურ დაავადებათა შემოტანა და გავრცელება, რომლებიც სურსათის საშუალებით გადადის ადამიანზე. მათ შორის, ბიზნეს ოპერატორებმა უნდა განახორციელონ პრევენციული ზომები ადამიანისათვის საშიშ ინფექციურ დაავადებათა გავრცელების წინააღმდეგ, მაგალითად, ცხოველი მოათავსონ კარანტინში და ასეთ დაავადებებთან დაკავშირებით ეჭვის წარმოქმნის შემთხვევაში დაუყოვნებლივ აცნობონ მაკონტროლებელ ორგანოს;
- გაითვალისწინონ ცხოველებიდან აღებული ნიმუშის ანალიზის შედეგი, რომელიც მნიშვნელოვანია ადამიანის ჯანმრთელობისათვის. მაგალითად, ბიზნეს ოპერატორმა, რომელიც ეწევა ცხოველების მოშენებას და მის ფერმაში ნიმუშის აღების შედეგად დადგინდება, რომ ცხოველს აქვს ბრუცელოზი, დაუყოვნებლივ უნდა განახორციელოს ცხოველის შესაბამისი წესით დაკვლა და მიღებული ხორცის სპეციალური მეთოდით დამუშავება;
- გამოიყენონ მხოლოდ ნებადართული საკვები დანამატები და ვეტერინარული დანიშნულების სამედიცინო პრეპარატები.

ბიზნეს ოპერატორებმა, რომლებსაც მოჰყავთ მცენარეული წარმოშობის პირველადი პროდუქტები, უნდა განახორციელონ ადეკვატური ღონისძიებები, კერძოდ:

- სუფთა მდგომარეობაში შეინახონ ნებისმიერი მოწყობილობა, რომელიც უშუალო კავშირშია პირველად წარმოებასა და მასთან დაკავშირებულ ოპერაციებთან, მათ შორის, ჭურჭელი, ყუთი, სადისტრიბუციო და სხვა გადასაზიდი საშუალებები, რომლებიც გამოიყენება პირველადი წარმოების პროდუქტების შენახვის, გადაზიდვისა და ჩატვირთვა-გადმოტვირთვისათვის. საჭიროების შემთხვევაში, გაწმენდის შემდეგ მოახდინონ მათი დეზინფიცირება სათანადო წესით;
- აუცილებლობის შემთხვევაში, უზრუნველყონ სასმელი წყლის ან სუფთა წყლის მოხმარება;
- რამდენადაც შესაძლებელია, თავიდან აიცილონ მავნებლებისაგან პირველადი წარმოების პროდუქტების დაბინძურება;
- ისე შეინახონ და გადაზიდონ ნარჩენები და სახიფათო ნივთიერებები, რომ თავიდან აიცილონ პირველადი წარმოების პროდუქტების დაბინძურება;
- გაითვალისწინონ მცენარეებიდან აღებული ნიმუშის ანალიზის შედეგი, რომელიც

მნიშვნელოვანია ადამიანის ჯანმრთელობისათვის;

- გამოიყენონ მხოლოდ ნებადართული მცენარეთა დაცვის საშუალებები, აგროქიმიკატები და ბიოციდები.

ძალიან მნიშვნელოვანია, რომ ბიზნეს ოპერატორებმა, სათანადო წესით, გარკვეული პერიოდულობით აწარმოონ რისკების გაკონტროლებასთან დაკავშირებით განხორციელებულ ღონისძიებათა ჩანაწერები. ჩანაწერები შეიძლება იყოს როგორც დოკუმენტური, ისე ელექტრონული სახის. ასევე, მნიშვნელოვანია, რომ ბიზნეს ოპერატორმა აღნიშნული ჩანაწერები შეინახოს შესაბამისი დროის განმავლობაში.

ბიზნეს ოპერატორებმა, რომლებიც მისდევენ მეცხოველეობას ან აწარმოებენ ცხოველური წარმოშობის პირველად პროდუქტებს, უნდა აწარმოონ შემდეგი სახის ჩანაწერები:

- ცხოველების საკვების წარმოშობის შესახებ;
- ვეტერინარული დანიშნულების პრეპარატების შესახებ, მათი გამოყენების თარიღების მითითებით;
- დაავადებათა შემთხვევების შესახებ, რამაც შესაძლოა გავლენა მოახდინოს ცხოველური წარმოშობის სურსათის უვნებლობაზე;
- ცხოველებიდან აღებული ნებისმიერი ნიმუშის ანალიზის შედეგების შესახებ, რაც შესაძლოა მნიშვნელოვანი იყოს ადამიანის ჯანმრთელობისათვის;
- ნებისმიერი ანგარიში ცხოველების ან ცხოველური წარმოშობის პროდუქტების შემოწმებათა განხორციელების შესახებ.

ბიზნეს ოპერატორებმა, რომლებსაც მოჰყავთ მცენარეული წარმოშობის პირველადი პროდუქტები, უნდა აწარმოონ ჩანაწერები:

- მცენარეთა დაცვის საშუალებების, აგროქიმიკატებისა და ბიოციდების გამოყენების შესახებ, მათი გამოყენების თარიღების მითითებით;
- პარაზიტების ან დაავადებების ნებისმიერი წარმოშობის შესახებ, რამაც შესაძლოა გავლენა მოახდინოს მცენარეული წარმოშობის პირველადი პროდუქტების უვნებლობაზე;
- მცენარეებიდან აღებული ნებისმიერი ნიმუშის ანალიზის შედეგების შესახებ, რაც შესაძლოა მნიშვნელოვანი იყოს ადამიანის ჯანმრთელობისათვის.

ბიზნეს ოპერატორები პასუხისმგებელნი არიან სწორად აწარმოონ, შეინახონ და დაიცვან დოკუმენტები და ჩანაწერები.

მიკვლევადობასთან დაკავშირებული მოთხოვნები

მიკვლევადობის განსახორციელებლად აუცილებელია ბიზნეს ოპერატორს ჰქონდეს სათანადო ინფორმაცია, აწარმოებდეს შესაბამის დოკუმენტაციასა და ჩანაწერებს. ამისთვის, ბიზნეს ოპერატორმა უნდა დანერგოს ისეთი სისტემები და პროცედურები, რომლებიც, მოთხოვნის შემთხვევაში, ინფორმაციით უზრუნველყოფს კომპეტენტურ ორგანოებს საჭირო ინფორმაციით.

მწარმოებლებს, რომლებიც მოაშენებენ ცხოველებს ან აწარმოებენ ცხოველური წარმოშობის პირველად პროდუქტებს, მოეთხოვებათ იქონიონ ჩანაწერები:

- ცხოველის საკვების, მისი მახასიათებლებისა და წარმოშობის შესახებ;
- ვეტერინარული პრეპარატების შესახებ, რომლებსაც იღებენ ცხოველები;
- პრეპარატების მიღების ხანგრძლივობის, დოზებისა და რაოდენობის შესახებ;
- იმ ზოოანთროპონოზური დაავადებების (დაავადება, რომელიც გადადის ცხოველიდან ადამიანზე) არსებობის შესახებ, რომლებსაც შეეძლო გავლენა მოეხდინა ცხოველური წარმოშობის პროდუქტების უვნებლობაზე;
- ცხოველებიდან აღებული ნებისმიერი მასალის ანალიზის შედეგების შესახებ, რაც შესაძლოა მნიშვნელოვანი იყოს ადამიანის ჯანმრთელობისთვის;

ვ ცხოველებზე ან ცხოველური წარმოშობის პროდუქტებზე განხორციელებული ნებისმიერი შემოწმების შედეგების შესახებ.

მწარმოებლებს, რომლებიც მოიყვანენ მცენარეულ პროდუქტებს მათი შემდგომი

გადამუშავების მიზნით, მოეთხოვებათ იქონიონ ჩანაწერები:

- მცენარეთა დაცვის ქიმიური და ბიოლოგიური საშუალებების გამოყენების შესახებ;
- მცენარეთა პარაზიტებისა და ნებისმიერი დაავადების წარმოშობის შესახებ, რამაც შესაძლოა გავლენა მოახდინოს მცენარეული წარმოშობის პროდუქტების უვნებლობაზე;
- მცენარეებიდან აღებული ნებისმიერი ნიმუშის ანალიზის შედეგების შესახებ, რაც შესაძლოა მნიშვნელოვანი იყოს ადამიანის ჯანმრთელობისთვის.

საქართველოს კანონმდებლობის თანახმად, მიკვლევადობასთან დაკავშირებული მოთხოვნების შეუსრულებლობა, გამოვლენილი მონიტორინგის დროს, გამოიწვევს ბიზნეს ოპერატორის დაჯარიმებას.

სურსათის უვნებლობის კონტროლი

პასუხისმგებლობა სურსათის უვნებლობაზე ეკისრება ბიზნეს ოპერატორს და თავისი საქმიანობის ფარგლებში იგი ვალდებულია უზრუნველყოს სურსათის უვნებლობა წარმოების, გადამუშავებისა და დისტრიბუციის ყველა ეტაპზე.

ბაზარზე განთავსებული სურსათი უნდა აკმაყოფილებდეს სურსათის უვნებლობის მოთხოვნებს. დაუშვებელია მავნე სურსათის ბაზარზე განთავსება, თუ იგი საფრთხეს უქმნის ადამიანის სიცოცხლესა და ჯანმრთელობას. თუ სურსათი მავნეა, ამ სურსათის მთელი პარტია მავნედ მიიჩნევა, გარდა იმ შემთხვევისა, როცა პარტიის დეტალური შემოწმებისას დადასტურდება, რომ პარტიის დანარჩენი ნაწილი აკმაყოფილებს სურსათის უვნებლობის მოთხოვნებს. ძირითადი სახელმძღვანელო კანონმდებლობაა:

- რეგულაცია „(EC) No 882/2004 ოფიციალური კონტროლის შესახებ, რომელიც ხორციელდება ცხოველის საკვების და სურსათის კანონთან, ცხოველთა ჯანმრთელობის და კეთილდღეობის წესებთან შესაბამისობის დასადგენად“;
- სურსათის/ცხოველის საკვების უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის კოდექსი;
- საქართველოს მთავრობის 2010 წლის 25 ივნისის დადგენილებით განისაზღვრა სურსათის უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის სფეროებში ზედამხედველობის, მონიტორინგისა და სახელმწიფო კონტროლის განხორციელების წესი.

სურსათის უვნებლობის კონტროლი წარმოადგენს სახელმწიფო კონტროლის ერთ-ერთ სახეს, რომელიც ხორციელდება სურსათის უვნებლობისა და ეტიკეტირების განსაზღვრულ მოთხოვნებთან შესაბამისობის დასადგენად. სურსათის უვნებლობის სფეროში სახელმწიფო კონტროლის განხორციელების მექანიზმებია:

- ინსპექტირება
- მონიტორინგი
- ზედამხედველობა
- დოკუმენტური შემოწმება
- სურსათის ნიმუშის აღება.

სურსათში პესტიციდების ნარჩენების დასაშვები მაქსიმალური ზღვარი

რეგულაცია „EC No 396/2005 პესტიციდების მაქსიმალური ნარჩენი რაოდენობა მცენარეული და ცხოველური წარმოშობის სურსათზე/სურსათში და ცხოველის საკვებზე/საკვებში“ შესაბამისად, ყველა აქტიური ინგრედიენტისთვის პესტიციდების მაქსიმალური ნარჩენი რაოდენობა უდრის 1 მილიგრამს 1 კილოგრამზე. თუმცა, ვინაიდან რეგულაცია საკმაოდ რთულია, რეკომენდირებულია, სახელმძღვანელოდ გამოყენებული იქნეს ვროკავშირის პესტიციდების მონაცემთა ბაზა,[8] რომელიც

8. http://ec.europa.eu/sanco_pesticides

მომხმარებელს შესაძლებლობას აძლევს, მონაცემები გაფილტროს საკვები პროდუქტისა და პესტიციდების ტიპის მიხედვით.
პესტიციდების ნარჩენების სახელმწიფო კონტროლი. სახელმწიფო კონტროლის განხორციელება პესტიციდების ნარჩენების დასაშვები მაქსიმალური ზღვრის მიმართ არის სავალდებულო ევროკავშირის წევრი ყველა ქვეყნისათვის. ასეთი კონტროლი უნდა მოიცავდეს ნიმუშების აღებას და კვლევას. კვლევის დროს უნდა დადგინდეს პესტიციდის სახეობა და მისი შესაბამისი ნარჩენის დონე სურსათში. ასეთი კონტროლი ასევე შეიძლება ხორციელდებოდეს მომხმარებლებისთვის სურსათის მიწოდების ადგილებში.
ევროკავშირის ყველა ქვეყანამ, სახელმწიფო კონტროლის ადრე განხორციელებული პროგრამების შედეგების გათვალისწინებით, უნდა აიღოს საკმარისი რაოდენობის ნიმუშები, რათა შედეგები განზოგადდეს მთელი ბაზრის მიმართ. ლაბორატორიები, რომლებიც ახორციელებენ პესტიციდების ნარჩენების ანალიზს, უნდა მონაწილეობდნენ ევროკომისიის მიერ ორგანიზებულ შესაბამისობის დადგენის ტესტირებაში.
პესტიციდების ნარჩენებთან დაკავშირებით ევროკავშირის წევრმა ქვეყნებმა უნდა განახორციელონ ყოველწლიურად განახლებადი მრავალწლიანი კონტროლის პროგრამა, რომელიც დაფუძნებული უნდა იყოს რისკის შეფასების კრიტერიუმებზე.
პესტიციდების ნარჩენების დასაშვები მაქსიმალური ზღვარი სურსათის სახეობების მიხედვით. სურსათში პესტიციდების ნარჩენების დასაშვები მაქსიმალური ზღვარი სურსათის ცალკეული სახეობისათვის, რომელიც დადგენილია ცალკეული აქტიური ნივთიერების მიხედვით. შესაბამისად, დანართით გათვალისწინებული ინფორმაცია არის მატრიქსული და კომპლექსური, რომელიც ანბანის მიხედვით დალაგებული აქტიური ნივთიერებებისთვის ადგენს კონკრეტული სურსათის სახეობის ან მისი ჯგუფის დასაშვებ ზღვრულ ნორმას.
Global Gap. საბაზისო მოთხოვნების გარდა არის კიდევ Global Gap სტანდარტი, რომელიც არსებობს სოფლის მეურნეობის პროდუქტის პირველადი წარმოებისთვის. ისეთი პროდუქტებისთვის, როგორიცაა ხილი, ბოსტნეული და ხორცის პროდუქცია. ის მოიცავს სხვადასხვა ელემენტებს, მაგალითად, პესტიციდების სწორად მოხმარებას, გარემოს დაცვის კუთხით წესებს, რომელიც უნდა გამოიყენოს ფერმერმა, რომ არ გამოიწვიოს გარემოს დაბინძურება; როგორ უნდა დაგეგმოს სწორად თავისი ნათესები, რა საშუალებები უნდა ჰქონდეს იმისთვის, რომ საწარმოში დაცული იყოს პერსონალის უსაფრთხოება, პერსონალის კვალიფიკაცია, ჰიგიენა და სხვა.

დანართი 2. მოთხოვნები სურსათის მწარმოებლებისთვის

სურსათის წარმოება არის პროცესი, რომელიც მოიცავს ადამიანის საკვებად განკუთვნილი პროდუქტის წარმოებას პირველადი ან/და გადაუმუშავებელი პროდუქტის ნებისმიერი სახის გადამუშავებით. სურსათის წარმოება შეიძლება მოიცავდეს მცენარეული და ცხოველური წარმოშობის პროდუქციას, მათ ნაზავს, ასევე ნებისმეირ სასმელს, მათ შორის სასმელ წყალს და ნებისმიერ ნივთიერებას, რომელიც სურსათში გამოიყენება. სურსათის/ცხოველის საკვების უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის კოდექსის შესაბამისად, სურსათი არის ადამიანის საკვებად განკუთვნილი ნებისმიერი გადამუშავებული, ნაწილობრივ გადამუშავებული ან გადაუმუშავებელი პროდუქტი. სურსათი ასევე მოიცავს ყველა სახის სასმელს (მათ შორის, სასმელ წყალს), საღეჭ რეზინს და სურსათში გამოსაყენებელ ნებისმიერ ნივთიერებას (წყლის ჩათვლით), რომელიც გამოიყენება სურსათის შემადგენლობაში მისი წარმოებისა და გადამუშავების დროს. სურსათი არ მოიცავს: ცხოველის საკვებს, ცოცხალ ცხოველებს (გარდა იმ ცხოველებისა, რომლებიც გამზადებულია ბაზარზე განსათავსებლად, ადამიანის მიერ მოხმარებისათვის), მცენარეებს (მოსავლის აღებამდე), სამკურნალო და ჰომეოპათიურ საშუალებებს, თამბაქოს და თამბაქოს პროდუქტებს, ნარკოტიკულ საშუალებებს და ფსიქოტროპულ ნივთიერებებს, კოსმეტიკურ საშუალებებს, ნარჩენებსა და დამაბინძურებლებს.
სურსათის გადამუშავება არის ნებისმიერი პროცესი, რომელიც მნიშვნელოვნად ცვლის

პირველად პროდუქტს. ეს შეიძლება იყოს გაცხელება, შებოლვა, გახმობა, დამწიფება, გამოშრობა, დამარილება, გაწურვა ან სხვა. მაგალითად, პირველადი წარმოებაა ფერმა, სადაც ზრდიან და აშენებენ ცხოველებს დაკვლამდე, ხოლო სასაკლაო, ხორც-პროდუქტების ან რძის წარმოება უკვე აღარ არის პირველადი წარმოება და ეს უკვე სურსათის წარმოებაა. ასევე პირველადი წარმოებაა სათბური, სადაც მოჰყავთ ხილი და ბოსტნეული და არ ხდება მათი გადამუშავება, ხოლო ხილის და ბოსტნეულის პირველადი სახის ცვლილება, მაგალითად, ჩირის ან კონსერვის დამზადება, უკვე სურსათის წარმოებაა.

რეგისტრაცია

ნებისმიერი ბიზნეს ოპერატორი, რომელიც ახორციელებს სურსათთან დაკავშირებულ წარმოებას, იმპორტს და რეალიზაციას, ვალდებულია დარეგისტრირდეს სურსათის მწარმოებლად. თუ ფიზიკური პირი სურსათის წარმოებას ეწევა არაორგანიზებულად, მაგალითად, საქონლის დაკვლა და არასისტემურად რეალიზაცია, ან სურსათის წარმოებას ეწევა საკუთარი მოხმარების მიზნით, მას არ მოეთხოვება სურსათის მწარმოებლად რეგისტრაცია.
ისევე როგორც პირველადი მწარმოებლის შემთხვევაში, სურსათის მწარმოებლის შემთხვევაშიც რეგისტრაციას ახორციელებს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო. თუ პირი უკვე რეგისტრირებულია მეწარმე სუბიექტად, მან უნდა მიმართოს საჯარო რეესტრს და რეგისტრაციის მონაცემებში შეიტანოს ცვლილებები სურსათთან დაკავშირებული საქმიანობის შესახებ. მაგალითად, თუ პირი რეგისტრირებულია როგორც ინდივიდუალური მეწარმე ან შპს, ის უნდა მივიდეს საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში და მიუთითოს:
• საქმიანობის ტიპი (სურსათის წარმოება, დისტრიბუცია ან/და რეალიზაცია)
• პროდუქციის სახეობა (ხორცპროდუქტები, ხილ-ბოსტნეული, წვენი, წყალი და ა.შ.).

ბიზნეს ოპერატორის აღიარება

გარდა რეგისტრაციისა, სურსათის ეროვნული სააგენტოს მხრიდან აღიარებას ექვემდებარება ის საწარმო, რომლის საქმიანობა დაკავშირებულია ცხოველური წარმოშობის სურსათის წარმოებასთან ან/და გადამუშავებასთან. აღიარება გულისხმობს რეგისტრირებული ბიზნეს ოპერატორის საქმიანობის საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრულ მოთხოვნებთან შესაბამის დადასტურებას.
კანონმდებლობის შესაბამისად, აღიარებას არ ექვემდებარება ოჯახური წარმოების სუბიეტქი და ბიზნეს ოპერატორი, რომელიც ახორციელებს პირველად წარმოებას.
ბიზნეს ოპერატორს აღიარება მიენიჭება უვადოდ იმ შემთხვევაში, თუ მისი საქმიანობა სრულად შეესაბამება კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს. იმ შემთხვევაში თუ დგინდება, რომ ბიზნეს ოპერატორის საქმიანობა სრულად არ შეესაბამება საკანონმდებლო მოთხოვნებს, მაგრამ საწარმოს ინფრასტრუქტურა, მოწყობილობები და აღჭურვილობა სრულად აკმაყოფილებს მოთხოვნებს, მას აღიარება ენიჭება 6 თვის ვადით და მიუთითებს შეუსაბამობის აღმოფხვრისკენ. 6 თვის შემდეგ მაკონტროლებელი ამოწმებს შეუსაბამობების აღმოფხვრას და შესაძლებელია ვადის კიდევ 6 თვით გაგრძელება. მაგრამ, მესამე ვადა, ანუ 12 თვეზე მეტი საწარმოს აღარ ეძლევა და აღიარება ავტომატურად უქმდება.

ჰიგიენური მოთხოვნები

როგორც პირველადი მწარმოებლებისთვის, სურსათის მწარმოებლებისთვისაც სავალდებულოა დადგენილი ჰიგიენური მოთხოვნების დაცვა 2004 წლის 29 აპრილის რეგულაცია „(EC) No 852/2004 საკვები პროდუქტების ჰიგიენის შესახებ“ შესაბამისად და საქართველოს მთავრობის 2010 წლის 15 ივნისის N173 დადგენილების 1-ლი დანართის

- სურსათის/ცხოველის საკვების მწარმოებელი საწარმოს/დისტრიბუტორის ჰიგიენის ზოგადი წესის შესაბამისად.

შესაძლებელია სურსათის მწარმოებელი ან დისტრიბუტორი საწარმოს მიმართ გამოყენებული იქნას დადგენილი წესისგან განსხვავებული მოთხოვნები თუ ჰიგიენური მოთხოვნების უზრუნველყოფის მდგომარეობა დასაბუთებული იქნება სურსათის მწარმოებლის მიერ. მაგალითად, თუ არის მოთხოვნა რომ ფანჯრები დაფარული იყოს მწერებისგან დამცავი ბადით, მაგრამ ფანჯარა არ იღება, ამ შემთხვევაში, ბადის დაყენება აუცილებელი არ არის.

მოთხოვნები სურსათის მიმართ. არსებობს ზოგადი მოთხოვნები სურსათის მიმართ, რომლებიც დამატებით უნდა გაითვალისწინონ სურსათის მწარმოებლებმა. ესენია:

- მოთხოვნები სურსათის შეფუთვის მიმართ;
- მოთხოვნები საწარმოო შენობისადმი;
- მოთხოვნები საწარმოო ოთახებისადმი;
- მოთხოვნები წყალმომარაგებასა და კანალიზაციასთან დაკავშირებით;
- მოთხოვნები აღჭურვილობისა და მოწყობილობებისადმი;
- მოთხოვნები ნარჩენების შეგროვებისა და გატანის მიმართ;
- მოთხოვნები დეზინფექციის მიმართ;
- მოთხოვნები სურსათის ტრანსპორტირების მიმართ;
- მოთხოვნები პერსონალის პირადი ჰიგიენისა და ჯანმრთელობის მდგომარეობის მიმართ.

საფრთხის ანალიზისა და კრიტიკული საკონტროლო წერტილების პრინციპები (HACCP) სურსათის მწარმოებელ ბიზნეს ოპერატორს დანერგილი უნდა ჰქონდეს **HACCP-ის 7 პრინციპი**. ეს არის სისტემა, რომელიც საფრთხეების იდენტიფიცირებით და მათი კონტროლის განხორციელებით უვნებელი სურსათის წარმოების საშუალებას იძლევა. ის გულისხმობს ყველა პოტენციური საფრთხის წინასწარ დადგენას და მათი პრევენციისთვის აუცილებელი ქმდებების განხორციელებას. HACCP-ის სისტემა სავალდებულო არ არის პირველადი მწარმოებლებისთის.

დღეის მდგომარეობით, HACCP-ის სისტემის გამოყენება სავალდებულოა მხოლოდ სასკლაოებისთვის და იმ საწარმოებისთვის, რომლებიც ახორციელებენ ნედლი რძის თერმულ დამუშავებას.

2015 წლის 1 იანვრიდან HACCP-ის სისტემის შეუსაბამობა იწვევს საწარმოს დაჯარიმებას. ამ მიმართულებითაც, მაკონტროლებელი ორგანოა სურსათის ეროვნული სააგენტო.

HACCP შედგება 7 ეტაპისგან (7 პრინციპისგან):

1. საფრთხის ანალიზის შეფასება (დადგენა და შეფასება);
2. კრიტიკული საკონტროლო წერტილების დადგენა;
3. კრიტიკული ზღვრების დაწესება;
4. მონიტორინგის პროცესის დაწესება;
5. მაკორექტირებელი ქმედებების დაწესება;
6. გადამოწმების ქმედებების დაწესება;
7. ჩანაწერების წარმოების პროცესების დაწესება.

სურსათის ეტიკეტირება

სურსათის მწარმოებელმა უნდა დააკმაყოფილოს სურსათის ეტიკეტირების მოთხოვნები. მათ შორის, ეტიკეტზე განსათავსებელი სავალდებულო ინფორმაცია, კვებითი ღირებულების აღნიშვნა და სურსათის ვარგისობის მინიმალური ვადა.

სურსათის უვნებლობის კონტროლი

ბაზარზე განთავსებული სურსათი უნდა აკმაყოფილებდეს სურსათის უვნებლობის მოთხოვნებს და დაუშვებელია მავნე სურსათის ბაზარზე განთავსება. პასუხისმგებლობა სურსათის უვნებლობაზე მთლიანად ეკისრება სურსათის მწარმოებელს წარმოების, გადამუშავების და დისტრიბუციის ყველა ეტაპზე.

ბაზარზე განთავსებული სურსათი უნდა აკმაყოფილებდეს სურსათის უვნებლობის მოთხოვნებს. დაუშვებელია მავნე სურსათის ბაზარზე განთავსება, თუ იგი საფრთხეს უქმნის ადამიანის სიცოცხლესა და ჯანმრთელობას. თუ სურსათი მავნეა, ამ სურსათის მთელი პარტია მავნედ მიიჩნევა, გარდა იმ შემთხვევისა, როცა პარტიის დეტალური შემოწმებისას დადასტურდება, რომ პარტიის დანარჩენი ნაწილი აკმაყოფილებს სურსათის უვნებლობის მოთხოვნებს. ძირითადი სახელმძღვანელო კანონმდებლობაა:

- რეგულაცია „(EC) No 882/2004 ოფიციალური კონტროლის შესახებ, რომელიც ხორციელდება ცხოველის საკვების და სურსათის კანონთან, ცხოველთა ჯანმრთელობის და კეთილდღეობის წესებთან შესაბამისობის დასადგენად“;
- სურსათის/ცხოველის საკვების უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის კოდექსი;
- საქართველოს მთავრობის 2010 წლის 25 ივნისის დადგენილებით განისაზღვრა სურსათის უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის სფეროებში ზედამხედველობის, მონიტორინგისა და სახელმწიფო კონტროლის განხორციელების წესი.

სურსათის უვნებლობის კონტროლი წარმოადგენს სახელმწიფო კონტროლის ერთ-ერთ სახეს, რომელიც ხორციელდება სურსათის უვნებლობისა და ეტიკეტირების განსაზღვრულ მოთხოვნებთან შესაბამისობის დასადგენად. სურსათის უვნებლობის სფეროში სახელმწიფო კონტროლის განხორციელების მექანიზმებია:

- ინსპექტირება
- მონიტორინგი
- ზედამხედველობა
- დოკუმენტური შემოწმება
- სურსათის ნიმუშის აღება.

სურსათში პესტიციდების ნარჩენების დასაშვები მაქსიმალური ზღვარი

როგორც უკვე პირველადი მწარმოებლების მიმართ არსებულ მოთხოვნებში იყო აღწერილი, სურსათში პესტიციდების დასაშვებ მიქსიმალურ ზღვრულ ნორმას ადგენს რეგულაცია „**EC No 396/2005** პესტიციდების მაქსიმალური ნარჩენი რაოდენობა მცენარეული და ცხოველური წარმოშობის სურსათზე/სურსათში და ცხოველის საკვებზე/საკვებში“. საჭიროზე მეტი რაოდენობით გამოყენებული პესტიციდები საფრთხეს უქმნის ადამიანის ჯანმრთელობას და სიცოცხლეს, ვინაიდან ზედმეტად გამოყენებული პესტიციდი სურსათში აისახება როგორც ნარჩენი, რომელის წარმოადგენს საფრთხეს სურსათის მომხმარებლისთვის.

პესტიციდების ნარჩენების სახელმწიფო კონტროლი. სახელმწიფო კონტროლის განხორციელება პესტიციდების ნარჩენების დასაშვები მაქიმალური ზღვრის მიმართ არის სავალდებულო ევროკავშირის წევრი ყველა ქვეყნისათვის. ასეთი კონტროლი უნდა მოიცავდეს ნიმუშების აღებას და კვლევას. კვლევის დროს უნდა დადგინდეს პესტიციდის სახეობა და მისი შესაბამისი ნარჩენის დონე სურსათში. ასეთი კონტროლი, ასევე, შეიძლება ხორციელდებოდეს მომხმარებლებისთვის სურსათის მიწოდების ადგილებში.

ევროკავშირის ყველა ქვეყანამ, სახელმწიფო კონტროლის ადრე განხორციელებული პროგრამების შედეგების გათვალისწინებით, უნდა აიღოს საკმარისი რაოდენობის ნიმუშები, რათა შედეგები განზოგადდეს მთელი ბაზრის მიმართ. ლაბორატორიები, რომლებიც ახორციელებენ პესტიციდების ნარჩენების ანალიზს, უნდა მონაწილეობდნენ ევროკომისიის მიერ ორგანიზებულ შესაბამისობის დადგენის ტესტირებაში.

პესტიციდების ნარჩენებთან დაკავშირებით ევროკავშირის წევრმა ქვეყნებმა უნდა განახორციელონ ყოველწლიურად განახლებადი მრავალწლიანი კონტროლის პროგრამა, რომელიც დაფუძნებული უნდა იყოს რისკის შეფასების კრიტერიუმებზე.

პესტიციდების ნარჩენების დასაშვები მაქსიმალური ზღვარი სურსათის სახეობების მიხედვით. სურსათში პესტიციდების ნარჩენების დასაშვები მაქსიმალური ზღვარი

სურსათის ცალკეული სახეობისათვის დადგენილია ცალკეული აქტიური ნივთიერების მიხედვით. შესაბამისად, დანართით გათვალისწინებული ინფორმაცია არის მატრიქსული და კომპლექსური, რომელიც ანბანის მიხედვით დალაგებული აქტიური ნივთიერებებისთვის ადგენს კონკრეტული სურსათის სახეობის ან მისი ჯგუფის დასაშვებ ზღვრულ ნორმას.

ეკონომიკური პოლიტიკის კვლევის ცენტრი (EPRC)
ფალიაშვილის ქ. 85. მეოთხე სართული. 0162. თბილისი. საქართველო
(995 32) 2 207 305
info@eprc.ge
@EPRC_Georgia
Economic Policy Research Center
ქართველი ფერმერები/Georgian Farmers
www.eprc.ge
www.georgianfarmers.wordpress.com